საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყვილებით და ჯიბრებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 1 ივნისი. 2020 წ. №68 (8994) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ქართველი ხალხი ერთხმად ეუბნება უზნეო, უზრდელ, უგვან ბოკუჩავას და მისნაირთ:

თქვენი დრო წასულია!

ღვთისმშობელო, იხსენი შენი წილხვედრი ქვეყანა ეშმაკისეულთაგან!

ახლა, როცა შედარებით მინელდა პარლამენტის 29 მაისის სხდომის ექო, მინელდა იმ დღეს მიღებული სტრესის სიმძაფრეც, მაინც დარჩა გაუნელებელი ტკივილი იმის გამო, რაც ვნახეთ და მოვისმინეთ.

მაინც, რა იყო ეს, ა? — „დათა თუთაშხიასეული“ ეს ცნობილი შეცხადება, ზუსტად მიესადაგება ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში იმ დღეს დატრიალებულ მოვლენებს.

რა იყო და სირცხვილი, თავის მოჭრა! სავსებით სწორი გახლდათ პრემიერი გახარია, როცა განაცხადა (ეს 27 მაისს), ქვეყანას სხვაგვარი (უკეთესი) ოპოზიცია ეკუთვნისო.

ოღონდ ჩვენი ოპოზიცია ცუდი კი არ არის, რომ უკეთესი ეკუთვნოდეს, ჩვენი ოპოზიცია საერთოდ არ არის ოპოზიცია. შეიძლება იმდღევანდელ გიგა ბოკერიას, რომან გოცირიძეს, სალომე სამადაშვილს, უფრორე თინა ბოკუჩავას ოპოზიცია, დეპუტატი, თუნდაც მოქალაქე ერქვას?! გათავხედებული, გაავებული, თავაწყვეტილი ადამიანების რაზმი, ქვეყანაზე ზრუნვის ალმით სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ქვეყანას, პარლამენტს, პრემიერ-მინისტრს. ისინი რომ ხელისუფლების ნაბიჯებს სადღაც, გულმტკივნეულად, სამართლიანად აკრიტიკებდნენ, ვინ ძაღლი და მამაძაღლი! მაგრამ მათი კრიტიკა არ არის კრიტიკა, უზრდელური ლანძღვა-გინებაა.

ჩვენ გვახსოვს პარლამენტში ლუიზა შაკიაშვილის „მგზნებარე“ გამოხდომები, მაგრამ თინა ბოკუჩავასთან მისი შედარება რა სათქმელია! თინიკოსა და მის „და-ძმებს“ მსგავსნი არ მოეძებნებათ. დედაო ღვთისავ, იხსენი შენი წილხვედრი ქვეყანა ამ ეშმაკისეულთაგან!

ჩვ ხელმ ოჯეჩყო!

ვახტანგ ონიანის „ამირანი“ სამართალს ითხოვს!

6

ანუ ჭამი ძეგლთ-მსხვრევისა!..

იაკობ ლეჟავა:

კაცობრიობა უდიდესი საფრთხის წინაშეა!

4

მიხეილ ჯიბუტი:

საქართველო - ჯონჯოლის რესპუბლიკა?

3

ქართველი ბიზნესმენი, რომელსაც „ირანის უგვირგვინო შაჰს“ ეძახდნენ

11

კლოუნადა, რომელიც არჩევნებამდე გაგრძელდება

— ბატონო, ბატონო! წუხელი რო იყო, ისევე ის კაცი მევიდა, ბატონო!

ქოშინით შევარდა რომანა გოცირიძე ბოკერიასთან და შუბლზე ცივი ოფლი მოიწმინდა.

არადა, მართლა მაინტერესებს — მეორედ მართლა რაღატომ მივიდა გახარია პარლამენტში — „კანტროლკა“ უნდა გაეკეთებინა, თუ „ევასება“ ნაცების ჩაგვრა?

ახლა არ დამიწყოთ ინტერპელაციის წესი და სუპერვაიზერიო. არ ვიცი ეგეთი სიტყვები მე, და ადამიანურად მითხარით.

ახლა კი სერიოზულად: პრემიერის გამოსვლამ ნათლად გვაჩვენა, რომ საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლება კარგად მუშაობს და რეალურად აკეთებს იმას, რასაც მთავრობა უნდა აკეთებდეს! ყველაფერი ხელის გულზე დევს). ცხადია, არის გარკვეული ნაკლოვანებები, მაგრამ ეს ბუნებრივია იმ ხელის შემშლელი ობიექტური პირობების გამო, რაც მრავლადაა...

ასევე ნათლად დავინახეთ, რომ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება საშინელ ჩიხშია შესული. პოლიტიკური სივრცე ფაქტობრივად მონოპოლიზებული აქვთ მერკანტელიზმით სავსე მდაბიო ლუზერებს, რომლებსაც თავიანთი არსებობის მანძილზე არანაირი ღირებული არ შეუქმნიათ, რომლებიც სახელმწიფოს როგორც „მეწველ ძროხას“ ისე უყურებენ და შანტაჟით, ძალადობით ცდილობენ თავიანთი პოლიტიკური ტივტივის გახანგრძლივებას.

სამწუხაროდ, ხდება რეალური, ნამდვილი და კონსტრუქციული პოლიტიკური ძალის უგულებელყოფა და საინფორმაციო ველი ლაყაფისტებს რჩებათ. დარწმუნებული ვარ, რომ პრემიერის შიშსათიანმა გამოთქმებმა ეს ვითარება გააშიშვლა და საზოგადოებას არა მხოლოდ „გულის მოფხანის“ განცდა, არამედ საკუთარი თავის რწმენა — რომ მას შეცვლა შეუძლია — გაუძლიერა.

ვუსმენდი იმ „მოლოდინებს“ და სავარაუდო „შეკითხვებს“ რასაც ე.წ. „ოპოზიციის ლიდერები“ახმიანებდენ და მხოლოდ ერთ რამეს ვხედავდი — ისინი ამ საკმაოდ დაძაბული ეკონომიკური ვითარების დროს „მოითხოვენ“ არა „ანკესს“, არამედ „თევზს“. იმ „თევზს“, რომელიც არამც თუ ჩვენთან, არამედ ბუნებაში არ არსებობს და თანაც იმ პირობებში, როცა თავად წამლავენ და აზიანებენ მოპოვების საშუალებებს.

გამოჩნდა კიდეც, რომ მათი ქცევა იყო არა რეალურ საქმეზე მსჯელობა, არამედ სავსებით შეუსაბამო და არაკონსტრუქციული კლოუნადა, რომლის მთავარი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მდაბიო არასრულფასოვნების კომპლექსის ვიწრო დაკმაყოფილებაა.

ყოველგვარი ლიტერატურული, ფილოსოფიური და ეროტიკული შესავლის მოუმარჯვებლად ვიტყვი, რომ აგრესიულმა ლიბერალებმა და საქართველოში მათმა პოლიტიკურმა დასაყრდენმა — ნაციონალურმა მოძრაობამ (ამ წყაროში, ცხადია, ევრონაცებიც შედიან) საქართველოში მოსპეს დემოკრატია, თავისი უმთავრესი ფაქტორით — სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით.

მოსპეს და საზოგადოებას შეაძულეს ნამდვილი ევროპული ღირებულებები. დაამახინჯეს ისეთი სათუთი მცნებები როგორიცაა „ნაციონალური“, „პოლიტპატიმარი“, პოლიტიკური სპექტრი, ოპოზიცია.

გაანადგურეს ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები როგორებიცაა „სახალხო დამცველი“ და „სამოქალაქო სექტორი“.

სრულიად დაამახინჯეს არჩევნებისა და წინასაარჩევნო დროს ჩატარების ფორმატი. და საბოლოოდ სცადეს, დაესამარებინათ ნორმალური სახელმწიფოს არსებობის უმთავრესი პირობა — პარლამენტარიზმი, მისი დემოკრატიული გამოვლინება — დებატები პრემიერ-მინისტრთან, ანუ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.

აღარაფერს ვიტყვი იმ მდაბიო შეძახილებზე (სხვას ვერაფერს დავარქმევ), რაც ვნახეთ. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რატომ სხედან პარლამენტში ის არსებები, რომლებიც ციხეში უნდა ისხდნენ. არ ვილაპარაკებ მათს აქაურ თუ იქაურ მხარდამჭერებზე. უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს ვირუსი, რაც ქართულ პოლიტიკას მეტასტაზებივით მოედო, მხოლოდ ქირურგიული ჩარევის შედეგად ჩამოშორდება და ეს ოპერაცია სწორედაც რომ ჩვენი, საქართველოს მოსახლეობის, გასაკეთებელია.

არადა, ვის უნდა დაუჭირო მხარი?

ჩატარდა კვლევა, რომლის მიხედვითაც გვითხრეს, რომ:

— ოცნება 55%;
— ნაცები 12%;
— „პატრიოტთა ალიანსი“ 6%;
— ლეიბორისტები 4 %;
— ლელო 4%;
— ევრონაცები 3%;
— ბურჯანაძე 1%.

სხვა — ასეთი პასუხი აქვს 5%-ს; არ გადამიწყვეტიას ამბობს 9%; გადავხაზავ ყველას, ამბობს 1%!

ძალიან საყურადღებო და დამაფიქრებელია. 55 და 6 გასაგებია, მაგრამ 12+4+4+3 +1 =24.

ანუ გამოკითხულთა 24%... ისა, ჰო — რეალობას მოწყვეტილია?

დიახ, მართლაც საოცარია, რომ დღევანდელი საინფორმაციო საშუალებებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის ფონზე 24% რეალობას მოწყვეტილია და არ იცის, თუ რისი გამკეთებლები არიან ნაცები, ევრონაცები, ხაზარაძისტები, ნათელაშვილი ან ბურჯანაძე.

დიახ, მართლაც, საოცარია!..

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ციფრები, ჯერ ერთი, არის საზოგადოების „შეჩვევა“ არჩევნების შედეგებთან და ნაცების დასავლელ მფარველებთან „ვაჭრობის“ საბაბი და, მეორეც, — მედიის „დამსახურება“.

დიახ, სწორედაც მედიის, რადგანაც „პატრიოტთა ალიანსი“ თუნდაც აქციებიდან, ან მათ მიერ პანდემიის დროს 14 000 ადამიანისთვის უანგარო დახმარების მიუხედავად, პოლიტიკურ შოუებში ფაქტობრივად არ არის წარმოდგენილი.

პარტიის ლიდერის ირმა ინაშვილის გარდა, მათი სპიკერები საერთოდ არ ჩანან, მაშინ როცა თაკო ჩარკვიანის პარტიის წარმომადგენელს, ვინმე ირაკლი ღლონტს, საკმაოდ ფართოდ აქვს მედიასივრცის კარი გაღებული („ლელოზე“ აღარაფერს ვამბობ).

ეს უგულებელყოფა ამ მართლაც, რეალური ოპოზიციური (ვიტყოდი, ფაქტობრივად ერთადერთი) პარტიის ცნობადობაზე ნამდვილად უარყოფითად მოქმედებს და, პიარის თვალსაზრისით, ნამდვილად დიდი სამუშაო აქვთ გასაწევი.

წერილის ბოლოს კი უბრალოდ ვიტყვი — უკვე მომბეზრდა იმაზე წერა და ლაპარაკი, რომ ნინო ლომჯარია არის სახალხო დამცველის ინსტიტუტის უპირველესი სახელის გამტეხი. მომბეზრდა ყოველდღე იმის გამეორება, რომ კაცობრიობის უდიდესი მონაპოვრის — დემოკრატიის უმთავრესი მტრები არიან „გავლენიანი არასამთავრობოები“, გიგა ბოკერია თავისი „ევრონაცებით“ და „ქართულ ოცნებაში“ ჩაბუდებული აგრესიული ლიბერალები. მომბეზრდა მოლოდინის რეჟიმი. მოლოდინი, რომ „აი ხვალ არა, მაგრამ ზეგ... მოიცა, ზეგ ვერა, აი, მერე ყველაფერი რომ კარგად იყოს, ჩვენ ვიფიქრებთ“. ვინც ამ კარუსელზე ტრიალებთ, ღმერთმა გაძლება მოგცეთ.

მთავარი ბრძოლა კი წინ გველოდება, და ეს ბრძოლა ხალხმა უნდა გადავიტანოთ!

გია გაბრიჭიძე

ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ღირსება და სამართლიანობა არის უდიდესი ფასეულობა

გიორგი გახარიამ და ვახტანგ გომელაურმა შსს-ს 10 თანამშრომელი მედლით „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დააჯილდოვეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის 10 თანამშრომელი მედლით — „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დააჯილდოვეს.

„ჩემთვის დიდი პატივია და საამაყოა, მქონდეს შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ მივულოცო პოლიციის დღე თითოეულ თქვენგანს — ოფიცერს, რიგითს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სრულ შემადგენლობას, მესაზღვრეს, მაშველს, მეხანძრეს, ყველას, ბატონო ვახტანგ, თქვენ გილოცავთ პირველ რიგში, როგორც ამ მნიშვნელოვანი უწყების ღირსეულ ხელმძღვანელს. შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩართულია ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ღირსება და სამართლიანობა არის უდიდესი ფასეულობა, იმიტომ რომ ყველგან ხართ. ადამიანი, რომელიც ქუჩაში გამოდის, ის სახელმწიფოს პირველ რიგში აღიქვამს თქვენი საშუალებით. აი, ფორმიან ადამიანს ხედავს და მისი ქცევის მოდელი არის სახელმწიფოს მოდელი. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, ყველა ის პოლიციელი და შსს-ს ყველა თანამშრომელი, რომელმაც თავი გაწირა, როგორც კრიმინალთან ბრძოლაში, ასევე ქვეყნის ინტერესების, ერთიანობის, დაცვის კონტექსტში, ყველა უნდა გვახსოვდეს, ყველას პატივი უნდა მივაგოთ, ყველას ოჯახებზე უნდა ვიზრუნოთ, ყველას შვილებს უნდა მივხედოთ, მარტივი ჭეშმარიტებებია ეს ყველაფერი. ის რაც ჩვენს ღირსებას, პოლიციელის მუნდირის ღირსებას აძლიერებს, ეს არის ის ყოველდღიურად რითიც უნდა ვიცხოვროთ, ვისუნთქოთ და ვიმუშაოთ. ეს არის და ეს. კიდევ ერთხელ გილოცავთ და იცოდეთ, რომ მშვიდობის პირობებში, იმაზე უფრო დიდი ღირსება, ემსახურო შენს ქვეყანას და მოქალაქეს, დაიცვა მისი ჯანმრთელობა, სიცოცხლე, მშვიდი ყოველდღიური ცხოვრება, ამაზე უფრო დიდი ღირსება არ არსებობს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

პოლიციელებს პროფესიული დღე მიულოცა და გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმაც.

პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ I ხარისხის მედალი — „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს, პოლიციის პოლკოვნიკ ლაშა გოგნიაშვილს პირადად გადასცა. II ხარისხის მედალი — „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ კი გადაეცათ სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის თანამშრომლებს: საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი — **ოთარ ჭელიძე,** საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ — **ავთანდილ ჩიტაძე,** საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური — **მანუჩარ მარგიანი,** საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი — **ალექსანდრე ბირთველიშვილი,** განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი — **რამაზ თარაშვილი,** ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი — **ბაკურ კურტანიძე,** თბილისის პოლიციის დეპარტამენტი — **ტარიელ ალავიძე,** საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი — **ალექსანდრე დადიანიძე,** დაცვის პოლიციის დეპარტამენტი — **კარლო ურუშაძე.** პოლიციელის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრის სახელით, სამინისტროს 5000-მდე თანამშრომელს სხვადასხვა სახის ჯილდო გადაეცა.

მადლობას ვუხდით საქართველოს პოლიციის ოფიცრებს

საქართველოში შეერთებული შტატების საელჩო, პოლიციის დღესთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს და ქართველ პოლიციელებს პროფესიულ დღეს ულოცავს.

„პოლიციელებს რთული სამუშაოს შესრულება უწევთ, ხშირად, სახიფათო ვითარებაში. ამ მამაცი კაცებისა და ქალების უმრავლესობა ყოველდღიურად საფრთხეში იგდებს თავს და მრავალ უძილო ღამეს ატარებს ჩვენი უსაფრთხოებისთვის. რთულ მომენტებში შეგვიძლია ვიყოთ მშვიდად, ვიცით რა, რომ ისინი ყოველთვის უპასუხებენ ჩვენს ზარს. დღეს ვუერთდებით მთელ საქართველოს პოლიციის დღის აღნიშვნაში და მადლობას ვუხდით პოლიციის ოფიცრებს, რომლებმაც COVID-19-ის საპასუხო ქმედებებისას გვიჩვენეს თავდაუზოგავი ერთგულება. ამერიკის შეერთებული შტატები ამაყად დგას თქვენ გვერდით!“, — ნათქვამია საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მიხეილ ჯიბუტი

საქართველო - ჯონჯოლის რესპუბლიკა?

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მის დაქვემდებარებული საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში: „სამსახური“) საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეერთების შესახებ ინიციატივით შევიდა საქართველოს მთავრობაში;

მთავრობამ ეს მოწონებული ინიციატივა, კანონპროექტის სახით ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონის პროექტები, მათ შორის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის მსოფლიო პანდემიად გამოცხადების დღეს –11 მარტს – საქართველოს პარლამენტს წარუდგინა;

საქართველოს პარლამენტის სტრუქტურებმა (საბიუჯეტო ოფისმა და იურიდიულმა დეპარტამენტმა) კანონპროექტის მსვლელობას მხარი დაუჭირეს;

ამჟამად მიმდინარეობს ამ კანონპროექტის კომიტეტებში განხილვა, რომლის შემდეგ მას განიხილავს საქართველოს პარლამენტი პლენალურ სხდომაზე, სადაც ის საქართველოში პარლამენტარიზმის გამოცდის ტესტის როლს შეასრულებს.

საქართველოს პარლამენტი ამ კანონპროექტებს თუ მაინც გააკანონებს, ეს იქნება საქართველოს ჯონჯოლის რესპუბლიკად საბოლოოდ ჩამოყალიბების ისტორიული დღე, ამასთან, ის ქვეყნის „კვანტური მმართველობის რეიტინგში“ დიდად გადაუსწრებს, მანამდე პირველ ადგილზე მყოფ, ბანანის რესპუბლიკას.

რაში მდგომარეობს ასეთი პერსპეტივის საიდუმლო?

ცნობილია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორებს შორის ბევრი იგივე პიროვნებაა (ფინანსთა მინისტრის მოადგილეები ნიკოლოზ გაგუა, გიორგი კაკაურიძე), ვინც 4 წლის წინ სამსახურის ამ ფორმითა და სტატუსით შექმნაში მონაწილეობდნენ და ვინც 4 წელია, ამ სამსახურის საქმიანობას წარმართავს, მაგრამ უცნობია ამ ცვლილებების ოფიციალური მოტივი. რატომ გამოდიან ისინი იმის წინააღმდეგ, რასაც 4 წელი მხარს უჭერდნენ? რას მოუტანს სამსახურის ეროვნულ ბანკში უბრალო გადატანა – „პორტირება“? არც მიზანი და მოსალოდნელი შედეგები არსად არაა გაცხადებული, ამით, არც საბიუჯეტო ოფისი და არც იურიდიული დეპარტამენტი არ დაინტერესებულა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი უფრო ხელგაშლილი პატრონი იქნება, ვიდრე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სახელმწიფო ბიუჯეტი. თუ ეს ასეა, თუ სამსახურის მუშაობის ეფექტიანობისთვის მეტი ხარჯია საჭირო, თვით ინსტიტუციურ ინიციატორს – ფინანსთა სამინისტროს შეეძლო საკითხი დაესვა სამსახურისთვის საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდის შესახებ. მით უმეტეს, თუ ხარჯების ზრდა იგეგმება, ეს ფინანსთა სამინისტროდან მოხდება, თუ ეროვნული ბანკიდან, სახელმწიფოებრივი პოზიციიდან ერთი და იგივეა, ორივე სახელმწიფო ხარჯია, ოღონდ, ეროვნული ბანკის შემთხვევაში ეს ხარჯი „უცხო“ (ხალხის) თვალს უფრო მოფარებულია.

თუ ეს ასეა, რა ფასის გადახდას გვთავაზობს ამისათვის კანონპროექტის ავტორები?

სამსახურის პორტირების შედეგად ბუღალტრული, აუდიტორული და შემფასებლობითი საქმიანობის ტრანზაქციის ხარჯები ყველა დონეზე გაიზრდება; უქმდება დავების საბჭო – საკითხების სასამართლოს წინარე გადაწყვეტის მექანიზმი და 1 000 000-ზე მეტ სამეწარმეო სუბიექტისათვის ის საქართველოს ეროვნულ ბანკთან სასამართლო დავის მექანიზმითაა ჩანაცვლებული;

შემცირდება ინფორმაციული ხელმისაწვდომობა და ბუღალტრული, აუდიტორული და შემფასებლობითი ზედამხედველობის საქმიანობის უწყებათაშორისი სახელმწიფო კოორდინაცია, მხოლოდ ერთი უწყების – ეროვნული ბანკის ინსტიტუციურ „შავ ყუთში“ ექცევა;

ეროვნული ბანკისთვის ესაა არაპროფილური საქმიანობა. უფრო მეტიც, მისთვის, როგორც აუდიტორული შემოწმების სუბიექტისთვის, ესაა ინტერესთა აშკარა კონფლიქტი; ეროვნული ბანკის გადაწყვეტის მიმღებ სტრუქტურებში ფინანსური სექტორის წილი მიაღწევს იმ კრიტიკულ მასას, როდესაც მას შეეძლება, გავლენა მოახდინოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო გადაწყვეტილებებზე ფინანსური სექტორის ინტერესების სასარგებლოდ, აქედან გამომდინარე სახელმწიფოებრივი რისკებით;

მნიშვნელოვნად კლებულობს სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხი და ა.შ.

სინამდვილეში, მთელი ამ ამბის, **მამოძრავებელი მოტივი არა რაიმე საზოგადოებრივი საქმის რეალურ გაუმჯობესებაში, არამედ პიროვნებების – „საკადრო პორტირებაშია“ „სამსახურის პორტირების“ გამოყენებით, როდესაც** ადამიანთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ბევრი პასუხსაგები საქმეებისაგან თავის არიდების მიზნით, საუკეთესო საშუალებაა სამსახურის „პორტირების“ შირმით მოახდინონ საკუთარი, პერსონალური „პორტირება“ საქართველოს ეროვნულ ბანკში.

ყველაფერი ეს რაიმე ინდუქციური დასკვნა კი არაა, არამედ **თავხედური,** საზოგადოებრივი აზრის გამომწვევი, **ღიაობით** წერია შავით თეთრზე მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტში: **„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, სამსახურში შტატით დასაქმებული თანამშრომლები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, 2020 წლის 1 მაისიდან (ასე იყო პროექტში, ახლა სავარაუდოდ ვადა სხვა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებამდე იქნება – მ.ჯ.), მათივე თანხმობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში უკონკურსოდ გადაყვანილ იქნენ არანაკლებ მათი სახელფასო ანაზღაურების ტოლფას თანამდებობებზე. თანხმობის განუცხადებლობის შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობები დარეგულირდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით“** (მუხლი 2, პუნქტი 3).

ქვეყანაში არსებული უსამართლობის უსაზღვროობის რწმენის გარეშე შეუძლებელია ვინმემ დაუშვას, მით უმეტეს საკანონმდებლო ნორმად მოინდომოს იმის ჩაწერა, რომ შეიძლება კერძო, პიროვნული ინტერესი, კონკრეტულ თანამდებობაზე კანონით დააკანონო და სახელი და გვარით მიუთითო, როგორც ამ შემთხვევაში, რომ იური დოლიძე – „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი“, მისივე თანხმობით, „საქართველოს ეროვნულ ბანკში უკონკურსოდ გადაყვანილ იქნენ არანაკლებ მათი სახელფასო ანაზღაურების ტოლფას“ თანამდებობაზე.

კანონის ნორმით აპირებენ დაადგინონ, რომ პიროვნებას აქვს არჩევის უფლება, იმუშავებს თუ არა ეროვნულ ბანკში, ხოლო ამ უკანასკნელს წართმეული აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ვინ უნდა იმუშაოს ეროვნულ ბანკში და ვინ არა.

მსგავსი პრაქტიკის არსებობა სადმე და ოდესმე ჩვენთვის უცნობია, ხოლო ევროპულ, დასავლურ საკანონმდებლო სისტემებში მსგავსი ჩანაწერი „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ხსენების აკრძალვის , სამაგიეროდ, ჯონჯოლის რესპუბლიკად გარდაქმნის ტოლფასია!

ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი აქვს აღნიშნულ კანონპროექტების ამბავს. ესაა მათი მისაღებად მომზადებისა და წინ წაწევის სისწრაფე. გათვალისწინებული იყო ცვლილების 1 მაისამდე ამოქმედება და კორონავირუსი წინ აღუდგა ამას. 27 მაისს გამოჩნდა ახალი ვადა „1 ოქტომბერი“.

* * *

ისე, როგორც ზოგჯერ ორიგინალის სანახავად საჭიროა საღებავის ცრუ ფენისაგან ნახატის გათავისუფლება, აღნიშნული პროცესების ბოლომდე გასარკვევად საჭიროა კანონების მიღებისას სიჩქარის მიზეზების ახსნა.

ეს სისწრაფე გამოწვეულია განმეორებადი და ამიტომ „კანონზომიერებად“ ქცეული მოვლენით ბოლოდროინდელ საქართველოში: ესაა მმართველობის ქვედა ეშელონების ინტერესების გამომხატველი სხვადასხვა საჩოთირო საკანონმდებლო ინიციატივების რთულ სოციალურ, პოლიტიკურ, თუ სხვა მმართველობითი ინსტიტუტებისთვის ცაიტნოტურ პერიოდებში ინიცირების პრაქტიკა.

არც მოცემული შემთხვევაა გამონაკლისი. უკვე მთავრდება დანიშვნების პირველი ვადა, მოდის საპარლამენტო არჩევნები, რაც თანამდებობრივ, თუ კარიერულ მდგომარეობის მდგრადობაზე აისახება და საჭიროა მომავალზე ზრუნვა, საუკეთესო შემთხვევაა თუ, გარანტიები უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუციური მანდატის მქონე ორგანოს ქოლგის ქვეშ, აგრეთვე ფინანსურად გაუმჯობესებული პირობებით...

როცა დიდი მოგება დიდი უზნეობაა



თამბაქოს ინდუსტრია სხვადასხვა ხრიკით და მიმზიდველობით ცდილობს ახალგაზრდების შეცდომაში შეყვანას, რომ ამით დიდი მოგება ნახოს. სწორედ ეს არის ერთი დიდი უზნეობა ჩემი გადასახედიდან, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ Facebook-ზე პირდაპირი ჩართვის დროს განაცხადა, როდესაც თამბაქოს დღესთან დაკავშირებით ისაუბრა.

მისი თქმით, წელს თამბაქოს დღის მთავარი თემა თამბაქოს ინდუსტრიისგან ახალგაზრდების დაცვაა. ამირან გამყრელიძე მიიჩნევს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

„თამბაქოს ინდუსტრია არის უზარმაზარი ინდუსტრია ერთი ტრილიონი დოლარის ბრუნვით მსოფლიოში და ის ცდილობს სხვადასხვა ხრიკით და მიმზიდველობით, შეცდომაში შეიყვანოს ახალგაზრდები, რომ დაიწყონ მათ ამ ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტის ხმარება და გახდნენ მათზე დამოკიდებული, რომ მეორე მხრივ ინდუსტრიამ ამით დიდი მოგება ნახოს. სწორედ ეს არის ერთი დიდი უზნეობა ჩემი გადასახედიდან, როცა ჩვენ ადამიანის სიცოცხლით ვვაჭრობთ“, – განაცხადა გამყრელიძემ.

შევინარჩუნოთ ის უნარ-ჩვევები...

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო **დირექტორი მარინა ეზუგბაია მოსახლეობას მოუწოდებს, რომ ის უნარ-ჩვევები, რაც ბოლო თვეებში კორონავირუსის პრევენციისთვის მიიღეს, არ დაივიწყონ და შეინარჩუნონ.**

მისი თქმით, გარეთ გასვლა თითოეული ადამიანისთვის სავალდებულო და აუცილებელი მიზეზი უნდა გახდეს. **„აუცილებელია, შევინარჩუნოთ ის უნარ-ჩვევები, რაც ჩვენ ამ 3-4 თვის განმავლობაში მივიღეთ, ეს არის დისტანცირება, პირბადეების გამოყენება, თავშეყრის ადგილებთან თავის არიდება და სახლიდან გამოსვლის აუცილებელი მიზეზი. არ უნდა ვიყოთ მუდმივად გარეთ და კონცენტრირებული თავშეყრის ადგილებში. სავალდებულო და აუცილებელი მიზეზი უნდა გახდეს თითოეული ადამიანის გარეთ გასვლის მიზეზი. გავაგრძელოთ კოვიდთან ერთად ცხოვრება იმ უნარ-ჩვევებით, რომლებიც შევიძინეთ. ნუ დავივიწყებთ“,** – განაცხადა ეზუგბაიამ.

კაცობრიობა უდიდესი კორონავირუსი: ფაქტები, კითხვები, დასკვნები



2020 წლის მარტამდე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (ჯანმო) რატომღაც მიაჩნდა, რომ ვირუსის გავრცელება, როგორც წესი, ხველების და დაცემინების დროს ხდებოდა, აეროზოლით გადაცემას კი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა, აქაოდა, ხველების და ცემინების დროს გამოყოფილი დიდი წვეთები სწრაფადვე ილექებიან ნებისმიერ ზედაპირზეო (თითქოსდა, შესუნთქულ ვირუსებზე მეტად ტანსაცმელზე ან საგანზე მოხვედრილს ჰქონოდეს უფრო დიდი მნიშვნელობა). ამიტომაც, დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ე.წ. სოციალური დისტანცირება — ერთიმეორისგან ორი მეტრის დაშორებით ყოფნა და ყველანაირი სახის ზედაპირის (მაგიდა, იატაკი, ქუჩა და ა.შ.) დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებითო.

ა.წ. 17 მარტს ახალი ინგლისის (აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთის ექვსი შტატის მიერ შექმნილი რეგიონი) სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნდა კვლევა იმის შესახებ, რომ ლაბორატორიის პირობებში, როდესაც სპეციალურად შექმნილ „ღრუბელში“ (ანუ შეწონილ მდგომარეობაში) ვირუსები დააყოვნეს, მათ სამი საათის განმავლობაში შეინარჩუნეს სიცოცხლისუნარიანობა და ინფიცირების უნარი. მკვლევრების აზრით, რეალურ პირობებში ეს ხანგრძლივობა ნახევარ საათს არ გადააჭარბებს. ცხადია, დასნებოვნებული ადამიანის მიერ სუნთქვის და ლაპარაკის დროს ვირუსების გამუდმებული გამოყოფით გაცილებით მეტი ვირუსი და, თანაც, უფრო დიდი ხნით დაგროვდება ჰაერში (მით უფრო, — დახშულ სივრცეში), ვიდრე მხოლოდ ერთი—ორი დაცემინებით ან დახველებით!

ამ კვლევას წინ უძღოდა მარტის დასაწყისში ამერიკის ქალაქ **მაუნტ ვერნონში** (ვაშინგტონის შტატი) პრესვიტერიული ეკლესიის ქორალის მომღერლების მასობრივი დაინფიცირება კორონავირუსით. გუნდის წევრები წინასწარ შეთანხმდნენ, რომ გამართავდნენ რეპეტიციას, მაგრამ ერთმანეთს არ გადაეხვეოდნენ და არც ხელს ჩამოართმევდნენ.. მომღერლებმა დარბაზში შესასვლელში ხელები სადეზინფექციო ხსნარით დაიმუშავეს და ერთმანეთისგან დისტანცირებაც მოახდინეს. არავინ არ ახველებდა, არ აცემინებდა და არც არავინ გრძნობდა თავს შეუძლოდ. რეპეტიციამ დახურულ სივრცეში 2.5 საათს გასტანა. სამ კვირაში 60 მომღერლიდან 45 აღმოჩნდა დაინფიცირებული და რამდენიმეს სიმპტომებიც გამოუვლინდა, ხუთი ჰოსპიტალში მოთავსდა, მათგან ორი ასაკოვანი კი გარდაიცვალა. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ვირუსის გავრცელება მოხდა ერთი ან რამდენიმე ინფიცირებული, მაგრამ სიმპტომების არმქონე მომღერლისგან და, რომ ეს შემთხვევა ადასტურებს მონაცემებს იმის თაობაზე, რომ **ვირუსი აეროზოლითაც გადაეცემა** (პრინციპში, ესეც ხომ წვეთოვანი, მცირეწვეთოვანი გზაა!), **რომლის 5 მიკრომეტრის (მეტრის მემილიონედი) სიდიდის ნაწილაკები რამდენიმე წუთს და მეტხანსაც არიან ჰაერში შეწონილ მდგომარეობაში**.

COVID-19-ის ეფექტური სპეციფიკური მკურნალობა ჯერ-ჯერობით არ არსებობს და ისევე, როგორც გრიპის შემთხვევაში, ძნელია იმის თქმა, თუ როდის ან, საერთოდ, შესაძლებელი იქნება თუ არა ეს ოდესმე (ვაქცინის შესახებ ბოლოს მოგახსენებთ). ამიტომ მიმდინარეობს სხვადასხვა, უკვე არსებული, სხვა დაავადებებისთვის შექმნილი წამლების გამოცდა-დაკვირვება და, ხან რომელს ენიჭება უპირატესობა და ხან — რომელს. დღეს რომ, თითქოს, შედეგიანია, ცოტა ხანში ასეთ სამკურნალო საშუალებაზე, საერთოდ, უარს ამბობენ.

აღნიშნულის გამო, უშუალოდ ვირუსის, მისი გავრცელების წინააღმდეგ მიმდინარეობს ბრძოლა: ტარდება უპრეცედენტო მასშტაბის სადეზინფექციო სამუშაოები — სპეციალური ხსნარებით ირეცხება ქუჩები, ტროტუარები, მანქანები, ვიტრინები, კედლები, იატაკები, მაგიდები, ფანჯრები, შეიძლება ითქვას, — რაც კი რამ არსებობს ყველაფრის და ყველანაირი ზედაპირი, ჰაერიც კი (ტელევიზიით ყველას გვინახავს სპეცმანქანებიდან ჰაერში ატყორცნილი სპეცხსნარების მაღალი ჭავლები)! და ეს ხდება ყველგან, მთელი მსოფლიოს ქალაქებსა და სოფლებში, სადაც კი ვირუსმა გაიჭაჭანა! რა მიზნით, ვირუსების მოსასპობად?

მაგრამ, **როგორ, საიდან გაჩნდა ამდენი ვირუსი ყველა ქუჩის კუთხე-კუნჭულში?** ვირუსმატარებელმა ნულოვანმა პაციენტმა ერთი ამოახველა და ამოფრქვეული ვირუსები ისე გამრავლდნენ, რომ ადამიანის ორგანიზმი აღარ ჰყოფნით და ასფალტზე, ბეტონზე, მინაზე და პლასტმასზე იდებენ ბინას?! აკი, ვირუსი მხოლოდ ადამიანის ცოცხალ(!) უჯრედში მრავლდება და ცოცხლობსო, მის გარეთ კი სწრაფადვე იღუპებაო?! ვინმემ აიღო ნაცხი ტროტუარიდან, ვიტრინის მინიდან ან მანქანის საბურავიდან და მხოლოდ ვირუსების აღმოჩენის შემდეგ დაგეგმა შესაბამისი ღონისძიებები? ანდა, ამ ზედაპირების დამუშავების შემდეგ სადმე, ერთ ქუჩაზე მაინც შემოწმდა ვირუსთან ამგვარი მეთოდებით ბრძოლის ეფექტურობა?! და, საერთოდ, **ვინმეს სმენია ასფალტიდან ან ვიტრინიდან დასნებოვნების შესახებ?!** არა ხომ? არც მე, არც წამიკითხავს. **მაშ რა აზრი აქვს ქუჩების ან ვიტრინების და სხვა ადგილების უთავბოლო რეცხვა-დეზინფექციას და სამედიცინო პერსონალის ლამის კოსმონავტების კოსტუმ-სკაფანდრებში გამოწყობას?!**

ეს ხომ სრული სიგიჟეა! მაგრამ, იქნებ, ყველაფერი შეგნებულადაა გაზვიადებული! რა, განა ეს გამორიცხულია? ერთადერთი, რაც აუცილებელია ავადმყოფებთან მომუშავე პერსონალისთვის — ეს არის არა კოსმონავტის აღჭურვილობა, არამედ, — **FFP-3 რესპირატორები,** რადგანაც ვირუსებისგან 100%-იანი გარანტირებული დაცვა მხოლოდ ამ კლასის რესპირატორებით მიიღწევა.

ასეთი ცხოველუნარიანი, ლამის უკვდავი რომ იყოს კორონავირუსი და, თან, მოდებული ყველგან და ყველაფერზე, მაშინ ვერავითარი დეზინფექცია, პირბადე და თვითთიზოლაცია ვერ გვიშველიდა, გამორიცხულია!

გერმანიის ორი კვლევითი ცენტრის ვირუსოლოგები — **კრისტიან დორსტენი,** ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკიდან და **ჰენდრიკ შტრეკი,** ბონის უნივერსიტეტის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მივიდნენ დასკვნამდე, რომ კორონავირუსი უკიდურესად მგრძნობიარეა სიმშრალის მიმართ — ძალზე სწრაფად იღუპება, ამიტომ **დაინფიცირება, პრაქტიკულად, ერთადერთი, — წვეთოვანი გზითაა შესაძლებელი ვირუსის მატარებელთან კონტაქტის დროს.** მკვლევართა ჯგუფმა შტრეკის ხელმძღვანელობით ქალაქ ჰაინსბერგში კორონავირუსით დასნებოვნების აბსოლუტურად ყველა, 1 400 შემთხვევა შეისწავლა. გაირკვა, რომ **ინფექციის აფეთქება ყოველთვის ადამიანებს შორის ხანგრძლივი კონტაქტის შედეგი იყო,** სხვადასხვა ზედაპირიდან (კარის სახელურებიდან, ტელეფონებიდან და ტუალეტებიდან) აღებულ ნაცხებში კი არასდროს არ აღმოჩნდა „ცოცხალი“ ვირუსის არავითარი ნიშანწყალი. შტრეკის აზრით, ეს მეტყველებს იმაზე, რომ **დაინფიცირებულ ზედაპირთან შეხებით უკიდურესად იშვიათად თუ დაავადდება ადამიანი**. „ვირუსი რომ ამ გზით შეგეყაროს, ამისთვის საჭიროა, რომ ვირუსმატარებელმა პირზე ხელებაფარებულმა ჩაახველოს და შემდეგ კარის სახელურს შეეხოს, რომელსაც იმავ წუთს მოჰკიდებს ხელს მეორე ადამიანი და შემდეგ, იმავე ხელით შეეხება საკუთარ სახეს“, — განაცხადა მეცნიერმა. ასეთი დამთხვევა კი, პრაქტიკულად, ნამდვილად არ ხდება! **თუ ადამიანმა ვირუსი არ შეისუნთქა, თანაც რაღაც, ჯერჯერობით გაურკვევლი რაოდენობით, მხოლოდ კანზე მოხვედრილი მას ვერაფერს აკლებს.**

ეს ინფორმაცია თვენახევრის წინ გავრცელდა, და იგი არავის არ უარუყვია მსოფლიოში, საპირისპირო არავის არ დაუმტკიცებია. მიუხედავად ამისა, კორონავირუსთან ბრძოლის თვალსაზრისით მაინც არაფერი არ შეცვლილა!

ისე, როგორ უნდა გამოაშტეროს ან დაიქვემდებაროს ყველანი კორუმპირებულმა ჯანმომ, რომ მისგან მიღებული ნებისმიერი მითითება საღი აზროვნების ფილტრში გატუტარებლად ყველამ მივიღოთ, ანუ საშუალება მივცეთ ხელისუფლებას თავს მოგვახვიოს ნებისმიერი ღონისძიება — იქნება ეს კანონი, გაუმართლებელი აკრძალვები თუ ჩვენი, თითოეული ადამიანის გასაკონტროლებელ-გადასაშენებელი ვაქცინაცია.

ახლა, რაც შეეხება **პირბადეების** გამოყენებას. აბსოლუტურად ყველა ვირუსოლოგი თუ ეპიდემიოლოგი თვლის, რომ ვინაიდან ამოსუნთქვის შედეგად პირბადე ინამება, ტენიანდება (ამას ყველანი ვგრძნობთ), იგი გარემოდან ადვილად იკრობს, იზიდავს როგორც მტვრის ნაწილაკებს, ისე მიკრობებს და ვირუსებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საათობით ვატარებთ ამ დაგროვილ ინფექციას უშუალოდ ცხვირ-პირთან (სწორედ ამიტომ გვაფრთხილებენ ყოველ 2-3 საათში პირბადე გამოვიცვალოთ, ნახმარი კი ცალკე პარკში ჩავდოთ, ჰერმეტულად თავი მოვუკრათ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავაგდოთ ნაგვის ურნაში!). ამასთან ერთად, საკმაოდ გაძნელებულია სუნთქვა, თან, ბადესთან გროვდება ამოსუნთქული ნახშირორჟანგი და ჩვენ გამუდმებით უკანვე ჩავისუნთქავთ ხოლმე ჩვენს მიერვე გამოყოფილ ამ გაზს (ნაწილობრივ მაინც), რითაც მხოლოდ ვიწამლავთ თავს — ნახმარი ჰაერის განმეორებით გამოყენება რომ არ შეიძლება სასარგებლო იყოს ორგანიზმისთვის, ამას მტკიცება არ სჭირდება! და კიდევ, — არცერთი პირბადე არ აკავებს არც 5 მიკრომეტრის ზომის აეროზოლის ნაწილაკებს და, რაღა თქმა უნდა, არც მასზე ბევრად მცირე ზომის ვირუსებს! **პირბადეს ხველის და დაცემინების დროს გამოყოფილი დიდი წვეთების დაჭერა შეუძლია მხოლოდ!**

ორიოდ სიტყვით **ხელთათმანების** „დადებით“ მხარეზეც ვთქვათ. ათასი რაღაც ხვდება ჩვენს კანზე დღის განმავლობაში, განსაკუთრებით კი, ხელებზე, მაგრამ თუ კანის მთლიანობა დარღვეული არ არის, მაშინ არც შიში გვაქვს არაფრის, რადგანაც კანი არის ბარიერული ორგანო, სადაც ბუნებრივი იმუნური სისტემა მუსრს ავლებს კანზე მოხვედრილ უხილავ მიკრობებს თუ ვირუსებს. რეზინის (სინთეზური) ხელთათმანებით კი ჩვენ გზას ვუღობავთ ამ მცველ უჯრედებს, რის შედეგადაც ხელთათმანზე (ისევე, როგორც პირბადეზე) გარედან გროვდება მიკრობები და ვირუსები. ასეთი ხელთათმანების მქონეს, მაგალითად, **მაღაზიის მოლარეს, როცა იგი პროდუქტებს, ბარათს, ფულს თუ საკუთარ თავს ეხება, მისდა უნებურად, უფრო მეტი ინფექცია გადააქვს, ვიდრე უხელთათმნო ხელით.**

კიდევ ერთი ფაქტი. ჩვენმა მედიკოსებმა და ხელმძღვანელობამაც მაქსიმუმი გაიკეთეს, — მათ ოპერატიულად იმოქმედეს აქა-იქ წარმოქმნილი დაავადების კერების, ე.წ. კლასტერების ლოკალიზებისთვის, რის წყალობითაც საუკეთესო შედეგებს მივაღწიეთ არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც, რისთვისაც მათ თითოეული ჩვენგანისგან დიდი მადლობა ეკუთვნით! მართლაცდა, რა სახსენებელია ეპიდემიის(!) დროს პირველ ოთხ თვეში (27 მაისისთვის) 3.7 მილიონ ადამიანზე 735 დაავადებული და მხოლოდ 12 (!) გარდაცვლილი, ამას ხომ ეპიდემიაც არ შეიძლება ეწოდოს, ამაზე მეტი გრიპისგან იღუპება ყოველწლიურად! ეს წარმატება, ძირითადად, დროულად მიღებული ზომებით უნდა აიხსნას (საგანგებო მდგომარეობა, კარანტინი, თვითიზოლაცია, სხვადასხვა სახის შეზღუდვები), აგრეთვე, — ავადმყოფთა კარგი მოვლა-მკურნალობით და, სავარაუდოდ, ვირუსის გენომის ნაირსახეობით, მისი ნაკლები ვირულენტობითაც. ეს ასეა ნამდვილად, მაგრამ მაინც უნდა ითქვას შემდეგი.

23 მაისიდან გაუქმდა ორი თვის წინ შეღებული საგანგებო მდგომარეობა, გაუქმდა საკომენდანტო რეჟიმიც, მოიხსნა ბევრი შეზღუდვა, გარდა რამდენიმესი. ყველას კარგად გვესმის, რომ მკაცრი შეზღუდვები, რომლებიც ჩვენთან დაწესდა (ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში) ვირუსის გავრცელების თავიდან აცილებას, მოსახლეობის უსაფრთხოებას ემსახურება, მაგრამ მათი მიზანშეწონილობა სამედიცინო ხედვითაც უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. როცა 2-თვიანი უმკაცრესი შეზღუდვების შემდეგ რომელიმე მათგანს კვლავ ძალაში ტოვებენ, ის აუცილებლად ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე საჭირო შეზღუდვა უნდა იყოს, რომლის ნაადრევად გაუქმებას შეიძლება სავალალო შედეგი მოყვეს — კორონავირუსის ახალი აფეთქება! ეს იმდენად ნათელია, რომ შეუძლებელია ვინმე სხვა აზრის იყოს. მე მხოლოდ რამდენიმე შეზღუდვას განვიხილავ — ერთს ნახევრად გაუქმებულს (ან, ნახევრად ძალაში დატოვებულს), ერთს ძალაში დატოვებულს და ერთსაც — გაუქმებულს.

მსუბუქი მანქანით (ტაქსით თუ საკუთარით) **მგზავრობის წესის** მიხედვით მანქანაში მძღოლის გარდა მხოლოდ ორ მგზავრს შეეძლო ჩასხდომა და, ისიც, მხოლოდ მძღოლის უკან. ანუ, საკუთარ მანქანაში ვერც საკუთარ მეუღლეს მოისვამდი გვერდით და ვერც სამ ბავშვს ჩასვამდი. ანუ, ვისთანაც 24 საათი იყავი ჩაკეტილი ბინაში, ერთი ჰაერით სუნთქავდი, ვისაც კოცნიდი და ეხვეოდი (ბავშვებს, მეუღლეს), საკუთარ მანქანაში ერთად ყოფნა აკრძალული გვქონდა და, ამ წესის დარღვევისთვის 3 000-ლარიანი ჯარიმა უნდა გადაგვეხადა! კი მაგრამ, ესეც ხომ სრუ-

ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔᲐ!

ლი აბსურდია, ამას ხომ მოფიქრება უნდოდა! ეს შეზღუდვა შემოღებისთანავე საქილიკო, „საღადაო“ გახდა პრესასა და ტელევიზიაში, მაგრამ მისი დროული გაუქმება არავის არ მოუვიდა თავში და მხოლოდ ორი თვის შემდეგ, 22 მაისს გადაწყდა, რომ ეს შეზღუდვა მხოლოდ ტაქსებს შეხებოდა.

ახლა **ტაქსის** შემთხვევაც განვიხილოთ, როცა ვირუსმატარებელი მგზავრი ან მგზავრები (მხოლოდ, — ორი) ჩასხდებიან მანქანაში. ვინ, რომელმა „მიხვედრილმა“ დაადგინა, რომ ვირუსი გვერდით მჯდომისგან გადაედება მძღოლს (ან პირიქით) და მის უკან მჯდომისგან კი — არა?! ასეთ პატარა და დახშულ სივრცეში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ სად იჯდება. **მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ ექნებოდა, თუკი მძღოლსა და უკან მჯდომ მგზავრებს შორის გამყოფი მინა იქნებოდა, როგორც ეს ზოგიერთ ტაქსის მანქანაში არის უცხოეთში**. ერთი სიტყვით, **ესეც დიდი აბსურდია!** აბა, ვის გაუგია, რომ სუფთა ჰაერზე, მაღაზიაში შესასვლელ რიგში 2-2 მეტრი დისტანციის დაცვა იყოს აუცილებელი, ხოლო მანქანის პატარა, დახშულ(!) სალონში კი, ნახევარი მეტრი — საკმარისი, ანუ უსაფრთხო დისტანცია!

ძალაში დარჩა **ფეხსაცმლის მაღაზიების** დახურვაც. თურმე, 2-2-მეტრიანი დისტანციის დაცვის და მაღაზიაში განსაზღვრული რაოდენობის (მაღაზიის ფართის მიხედვით) ადამიანების შეშვების შემთხვევაშიც კი, ფეხსაცმლის მაღაზია საშიში ადგილია — ფეხსაცმლის მოზომვით შესაძლოა, ვირუსი მომდევნო მომხმარებელს გადაეცესო, პროდუქტების მაღაზიაში კი ასეთი საშიშროება არ არისო! ფეხსაცმლით ვირუსის გადაცემის ერთი შემთხვევა მაინც ხომ უნდა იყოს ცნობილი, მსგავსი კი არაფერია აღწერილი მსოფლიოში! მაშ, **რას ეფუძნება ამგვარი შეზღუდვების მიზანშეწონილობა და როგორ ვირწმუნოთ იგი?!**

მესამე, და **ყველაზე გამაოგნებელი შეზღუდვა — ორი თვე ხდება, რაც აკრძალული იყო საფლავების მონახულება!** იცის ვინმემ, რატომ? სწორედ ასეთ შემთხვევებზე იტყვიან ხოლმე: მხოლოდ ღმერთმა უწყისო! მაპატიოს მაღალმა ღმერთმა, მაგრამ, ასე მგონია, მანაც არ უწყის! მიზეზი ძალიან ძნელი მისახვედრია! ქუჩაში სიარული, თუნდაც, დისტანციის დაცვით, შეიძლებოდა, მაღაზია-აფთიაქებში, ანუ დახურულ სივრცეში შესვლაც დაშვებული იყო, ღია ცის ქვეშ, სასაფლაოზე მისვლა კი, — აკრძალული! თანაც, არა მხოლოდ აღდგომის კვირაში, როცა ნამდვილად ბევრი ადამიანი გადის ახლობლების საფლავებზე, არამედ მომდევნო, ჩვეულებრივ დღეებშიც კი, როცა მთელ სასაფლაოზე თითო-ოროლა ადამიანს თუ მოკრავ თვალს (განსაკუთრებით, არადასაფლავების დღეებში). თურმე, საშიშია! ვისთვის? ახსნა ეს ვინმემ — პოლიტიკოსმა ან ეპიდემიოლოგმა? თქვენც არ მომიკვდეთ! **რაკი ცარიელ სასაფლაოზე მისვლით გვაშინებდნენ, ეკლესიაში მისვლით და ერთი კოვზიდან ზიარების შემთხვევაში დაგვაშინებდნენ (კუბოებით!), აბა, რას იზამდნენ!**

ახლა, ზემოთ დაპირებულ, ალბათ, ყველაზე აქტუალურ, კორონავირუსის საწინააღმდეგო **ვაქცინას** შევეხები. ვაქცინებზე ბევრი იწერება, მაგრამ ეს ისეთი საკითხია, ისეთი პრობლემაა, რომ სანამ ვაქცინების შემადგენლობა და მოსალოდნელი გართულებების შესახებ ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი არ გახდება, მანამდე მშვიდად ყოფნის უფლება არავის არ გვაქვს. პრობლემის არსი რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა უნდა გაიგოს და საღი გონებით შეხედოს შემოთავაზებულ (განსაკუთრებით, უფასოდ) ვაქცინებს და წამლებსაც. მუდამ უნდა გვახსოვდეს, უფასო ყველი სადაც არის.

კორონავირუსი იმდენად სწრაფად განიცდის მუტაციას, რომ შესაბამისი ვაქცინის დროულად შექმნა ტექნიკურად შეუძლებელია. კიდევაც რომ მოესწროს, ვაქცინაცია მაინც უშედეგო იქნება. რატომ? იმიტომ, რომ ვირუსით გამოწვეული დაავადება — **COVID-19 მყარ იმუნიტეტს არ ტოვებს,** გამოჯანმრთელებული ადამიანების დაახლოებით მხოლოდ 20%-ს აქვს ანტისხეულების მეტ-ნაკლებად საკმარისი რაოდენობა. ისეთი დაავადების შემთხვევაშიც კი, როგორიცაა წითელა, რომელიც იმდენად მყარ და სამუდამო იმუნიტეტს ტოვებს, რომ დედისგან ნაყოფსაც კი გადაეცემა, თავად ვაქცინა, რომლითაც ორჯერ ცრიან ბავშვებს, არც გარანტირებულ სამუდამო იმუნიტეტს იძლევა და არც ნაყოფს გადაეცემა. ამიტომ, ბუნებრივია, **იმ დაავადებების საწინააღმდეგოდ შექმნილი ვაქცინები, რომლებიც მყარ იმუნიტეტს არ ტოვებენ, ეფექტური ვერ იქნება, უბრალოდ, არ შეიძლება რომ ეფექტური იყოს!** ზოგიერთმა, ვაქცინაციის საკითხებში ჩაუხედავმა ადამიანმა შეიძლება ასე იმსჯელოს: რა მენაღვლება, მაინც გავიკეთებ ვაქცინას (ასე მოუთმენლად რომ ელის, როგორც პანაცეას, დაშინებული მსოფლიო) — თუ მიშველის ხომ კარგი, თუ არადა, რაც იქნება, იქნება — მეც მოვიხდი ამ ჭირსო. სამწუხაროდ, ამ კატეგორიის ხალხმა, მათ შორის, ბევრმა საკმაოდ განათლებულმაც არ იცის, თუ

ჩვენი უბედურება ისაა, რომ ცხვრებივით უტყვად მივყვებით ხელისუფლებას ყველაფერში. არ გამიკვირდება, ამჟამადაც, ყოველდღიური პროპაგანდისტული გადაცემებით ისედაც გამორეცხილ ტვინს კიდევ უფრო თუ გამოგვირეცხავენ და კორონავირუსის საწინააღმდეგო სავალდებულო ვაქცინაციაზეც დაგვითანხმებენ. არც ისაა გამორიცხული, ვაქცინაციის მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს დაგვაპირისპირონ. ან, სულაც, კანონის ძალით აგვცრან, როგორც ცხოველები! თუ მაინც გავჯიუტდებით (ჩვენ თუ სხვა), მაშინ გლობალისტები შეეცდებიან ისეთ გაჭირვებაში და პანიკაში ჩავარდეს მთელი მსოფლიოს მოსახლეობა, რის საკმაოდ წარმატებულ მცდელობასაც დღეს ვუყურებთ, რომ იქეთ ვეხვეწებოდეთ: ოღონდ ამ პანდემიისგან, შიმშილისგან გვიხსენით და, რაც გინდათ შეგვიშხაპუნეთო!

ასეთ ბერკეტებს რომ გამოიყენებენ, ამას თავადაც არ მალავენ გლობალისტები.

აი, რას ამბობდა **დევიდ როკფელერი** 2006 წელს: **„ჩვენ გლობალური გარდაქმნების პირას ვიმყოფებით. ყველაფერი, რაც ჩვენ გვესაჭიროება — ეს არის სწორად ორგანიზებული მეგა-კრიზისი და ერები დათანხმდებიან ახალ მსოფლიო წესრიგს“!**

ზბიგნევ ბჟეზინსკი (2009): „ჩვენი მიზნები თქვენთვის კარგადაა ცნობილი — ესაა ერთიანი მსოფლიო ხელისუფლება. და ის იქნება შექმნილი, მოგწონთ თქვენ ეს იდეა, თუ არა. **ამას თავად თქვენ გვთხოვთ, რადგანაც მომავალი უფრო და უფრო უარესი იქნება** (ცხადია, ჩვენთვის და არა მათთვის! — **Ი.Ლ.**). ამისათვის საჭიროა გაციცლებით მეტი, ვიდრე ეკონომიკური დამბლა — **საჭიროა ომები, შიმშილობა და ეპიდემიები მთელ მსოფლიოში“!**

და, ბოლოს, ყველაზე პოპულარული „ქველმოქმედის“ — **სოროსის** ახალი (მაისი, 2020) აღიარება—თვითლუსტრაცია: **„კორონავირუსი — ეს რევოლუციური შესაძლებლობაა მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს“! ბილ გეიტსი** კი გვიცხადებს, რომ ეს მალე, ახლო მომავალში მოხდება, როდესაც კორონავირუსზე საყოველთაო სავალდებულო ვაქცინაცია ჩატარდება მთელ მსოფლიოში! მანამდე კი, **შიში და პანიკა რომ არ განელდეს ხალხში და მუდმივად გეიტსის დაპირებული „მხსნელი“ ვაქცინის მოლოდინში ვიყოთ, ყოველდღე გვიმეორებენ: მოემზადეთ, პირბადე არ მოიხსნათ, კონტაქტებს ერიდეთ, — ზაფხულში ან შემოდგომაზე, ან ზამთრის პირას COVID-19-ის პანდემიის მეორე ტალღა გელოდებათო!**

დასაწყისში ვთქვი, რომ ამ წერილისთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს ახალი კორონავირუსი ბუნებაში იშვა მუტაციის შედეგად, თუ ლაბორატორიაში იქნა ხელოვნურად გამოყვანილი. მაგრამ, ეს ასე არ არის, რადგანაც, **რაც დღეს მსოფლიოს ჭირს (და ჩვენც, მათ შორის), ეს ერთი ჩინური ღამურას ბრალი არ არის. ყველაფერი, რაც ხდებოდა და ხდება (ომები, კრიზისები, ტერორისტული აქტები, ეპიდემიები და ბევრი სხვა), საიდუმლო ორგანიზაციებში გაერთიანებული დიდი ფულის მქონე გლობალისტების, სატანისტებად წოდებული ადამიანების ნაირსახეობის ბრალია!**

ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ და სხვებსაც გავაგებინოთ უბრალო ჭეშმარიტება — არაფრით არ შეიძლება იმ ხალხის ნდობა, ვისაც მსოფლიო მოსახლეობის 8 მილიარდიდან 7 მილიარდის საიქიოს გასტუმრება აძვს ჩაფიქრებული; უნდა ვიცოდეთ, რომ მათ მიერ დაფინანსებულ-გამოშვებული ვაქცინების თუ გენმოდიფიცირებული პროდუქტების დამღუპველი შედეგი (სტერილობის და დაავადებების სახით), მთელი სისრულით, თავს მომდევნო თაობებში იჩენს.

კაცობრიობა უდიდესი საფრთხის წინაშეა! ამიტომ კაცთმოძულე, მსოფლიოზე გაბატონებულ კასტასთან საბრძოლველად ეროვნული ძალები უნდა დაირაზმოს, სხვანაირად, ჩვენი შთამომავლობა, ადამიანი ვერ გადარჩება, ბურთი და მოედანი სატანის ნაშიერებს დარჩებათ!

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲭᲐᲕᲐ,
27 მაისი, 2020.

◎ „ᲫᲐᲚᲐ ᲣᲫᲐᲚᲝᲗᲐ“

ᲠᲐᲭᲝᲛ ᲒᲕᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲫᲚᲣᲠᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ?!

1978 წელს ვაცლავ ჰაველმა თავისი ცნობილი ესსე „ძალა უძალოთა“ დაწერა, რომელიც შემდეგ ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარიზმისადმი მშვიდობიანი წინააღმდეგობის ერთ-ერთ სახელმძღვანელოდ იქცა. ეს იყო თავისუფლების შეზღუდვის უარყოფა, ზიზღი მონობის მიმართ, გადათარგმნილი კონკრეტულ აზროვნებასა და ქმედებებში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა ადამიანს, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, აქვს საკუთარი ღირსების და თავისუფლების გრძნობა და განცდა, ხოლო, როდესაც ვინმე, მით უმეტეს ხელისუფლება, ამ ღირსების და თავისუფლების ფეხქვეშ გათელვას ცდილობს, ეს მის უძლურებაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ძალაზე. ხოლო მოქალაქეების ბუნებრივი სწრაფვა და ქმედება, დაიბრუნონ და აღიდგინონ ღირსება და თავისუფლება, არის საუკეთესო და ქმედითი საშუალება მოძალადეებისათვის.

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐᲡ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲫᲐᲚᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲮᲔᲚᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲮᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲒᲐᲑᲔ-ᲓᲐᲕᲓᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ „ᲨᲘᲨᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘᲡ“ ᲓᲐᲗᲔᲡᲕᲐ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲓ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲫᲐᲚᲐᲡ“ ᲤᲚᲝᲒᲓᲜᲔᲜ „ᲣᲫᲐᲚᲝᲔᲑᲘ“ ᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲘᲓᲒᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ 2012 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲛ ᲤᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲐᲓᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ.

ამიტომაც, რაც უნდა ისაუბრონ ხელისუფლების მშვიდობიან ცვლილებაში დასავლეთის როლზე, მთავარი იყო საქართველოს მოქალაქეების მიერ ღირსების და თავისუფლების აღდგენის ურყევი ნება. სწორედ, ამ ფაქტორის გათვალისწინებით მოიქცა დასავლეთი ისე, როგორც მოიქცა. დასავლეთში კარგად გაცნობიერეს, რომ ხალხის ნების წინააღმდეგ „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის შენარჩუნება, რომელიც შეიძლება მავანთათვის კომფორტული იყო, დანაკარგს უფრო მეტს მოუტანდათ ვიდრე სარგებელს.

დღეს ხელისუფლებიდან ჩამოშორებული და ყველა პარამეტრით დაუძლურებული „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი განშტოებები, ძალის დემონსტრირებას და ხელისუფლებაში დაბრუნებას ლამობენ. ისინი ცდილობენ აწმყოსა და წარსულის ფალსიფიცირებას და სურთ საკუთარი დანაშაული რეფორმების დროს დაშვებულ შეცდომებად შეასაღონ საზოგადოებას. ხოლო მათზე მომუშავე მედია და მოკავშირეები ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ცდილობენ დაუძლურებულ მონსტრს სული შთაბერონ და ძალის განცდა გაუჩინონ. თუმცა, სინამდვილეში ეს არის „უძალოთა ძალა“

„ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები, გრძნობენ, რომ მწირი ელექტორალური მხარდაჭერა არანაირად არ აძლევთ არჩევნების მოგების საშუალებას. ამიტომაც ცდილობენ, გარე ძალების დახმარებით მიაღწიონ ამ მიზანს და ჩვენი საზოგადოება უკვე ძალიან მკაფიოდ ხედავს ამას. ეს არის კიდევ ერთი გამოვლინება, თუ როგორ ცდილობს უძალო ხალხს ძლიერად მოაჩვენოს თავი. რაც უფრო მალე შეამჩნევს ამას ჩვენი საზოგადოება, რაც უფრო მალე გათავისუფლდება იგი ხელოვნურად შექმნილი ყალბი წარმოდგენებისგან „ნაცმოძრაობის“ ძლევამოსილების შესახებ, მით უფრო მეტად და სწრაფად შეუწყობს ხელს ქართული პოლიტიკური სპექტრის დაწმენდა — გაჯანსაღებას.

ᲖᲐᲐᲚ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ვახტანგ ონიანის „ამირანი“ სამართალს ითხოვს!

ანუ ქართველ ძეგლთმსხვრევისა!..

როცა ცოცხლებთან ვერაფერს ვერ ხდებოდა, ვინც სხვა აზრის იყო, ვისაც არამც და არამც არ მოსწონდა ამ უზომოდ გათავხედებული ახალგაზრდა პრეზიდენტის ბოროტი საქციელი, იმის ნაშრომს, იმის ნახელკეთილარს ახელბოროტებდა, უსაკუთრესად ფრიად სახელგანსმენილ მოქანდაკეთა ნამუშაკევთ ემტერებოდა, ანგრევდა, ამსხვრევდა, მიწასთან ასწორებდა. დაახლოებით ისე, მავანი ცხენს რომ ვერ შესწვდა და უნაგირს დაუწყო მტვრევა... ასე გაიმეტა აწ სულგანათლებული მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალი“ ქუთაისში და ვახტანგ ონიანის „ამირანი“ სიღნაღში. პირველი ახალი პარლამენტის შენობის ასაშენებლად მოსრა, მეორე, როგორც ამბობენ, თავისი ვერტმფრენის დასაჯდომი მოედნისთვის. თუმცა, ზოგის მიხედვით, ადეიშვილმა თავისი რესტორნის მშენებლობისთვის მოასუფთავა სიღნაღის ყოფილი ტურისტული ბაზის ეზოში ადგილიო. ერთი სიტყვით, ეს ეგრეთ წოდებული „სოფლის მშენებლები“, ნათქვამი რომ არის, შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო, ამ აზრის პირუკუ იქცეოდნენ: ერთხელ ზომავდნენ, საერთოდ თუ ზომავდნენ, და შვიდჯერ ჭრიდნენ...

მახსოვს, იმ დღეს საგანგებოდ ჩავედით რედაქციიდან სიღნაღში. 1981 წელი იდგა. ქანდაკებისა და გრაფიკის დიდოსტატის ვახტანგ ონიანის „ამირანი“, ბრინჯაოსი, ხელებცეცხლიანმახვილიანი აღიმართა ძველი სიღნაღის მისადგომებთან. როგორც იტყვიან ხოლმე, მართლაც ზღვა ხალხი დაესწრო ამ დიდებულ, ამირანულ ზეიმს. ცხადია, ყველაზე მეტად თავად ვახტანგ ონიანი იყო მეცხრე ცაზე. თუ ჩვეულებრივ ადამიანს ცხრა თვე უნდა იმისთვის, რომ დედის მუცლიდან სამზეოს მოევლინოს, პრომეთეოსის პირველ სახის „ამირანის“ შექმნას და ამქვეყნად უკვე მონუმენტად მოვლინებას ოთხი მძიმე წელიწადი დასჭირდა.

სიღნაღელნი დღესაც გულისტკივილით ამბობენ, ვიღაც შავი ნიღბოსნები შუაღამისას დაესხნენო თავს „ამირანს“. ასეა, სწორედ ბნელი შუაღამე აძლევს ხელს კეთილი საქმის მოსახელბოროტებლად ქურდსა და ავაზაკს.

ამ ამბავს, ბუნებრივია, დიდი აურზაური მოჰყვა. არა მარტო ჩვენი პრესა, არამედ უცხოურიც გამოეხმაურა. **„ჯორჯიან თაიმსი“**: კორესპონდენტი საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოში „ამირანის“ ავტორთან შესახვედრად და ვრცელი ინტერვიუც ჩამოართვა, რომელიც მერე ჩვენმა **„ქართულმა გაზეთმაც“** გადმობეჭდა.

„ჯორჯიან თაიმსი“: იცოდით თუ არა, რომ „ამირანის“ დემონტაჟი იყო დაგეგმილი. თუ ჩაგაყენეს ამის შესახებ საქმის კურსში?

ვახტანგ ონიანი: არაფერი არ ვიცოდი, არც არავის დაურეკავს. თითქოს ეს მონუმენტი ჩემი შექმნილი არც ყოფილიყოს, კითხვის ღირსადაც არ ჩამაგდეს. რა თქმა უნდა, დიდი ტრაგედიაა, როცა „ამირანს“ ანადგურებენ, მაგრამ ასევე ტრაგედიაა, როცა პატივს არ გცემენ და იმასაც არ გეკითხებიან და გატყობინებენ, რომ შენი ძეგლის დემონტაჟს ახდენენ.

— როგორ შეიტყვეთ „ამირანის“ მონუმენტის განადგურების შესახებ?

— პირველად ჩემმა ახლო მეგობარმა დამირეკა და რომ მითხრა ეს ამბავი, ხუმრობა მეგონა. ვერ წარმომედგინა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. ეს თავზარდამცემი ამბავი სიღნაღელებმაც შემატყობინეს. მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, რომ რამე მეღონა და მონუმენტი გადამერჩინა.

ასეთი ბარბაროსობა როგორ უნდა ჩაიდინო ადამიანმა, როცა მტერი კარზეა მომდგარი? ქართულ ძეგლებს ანადგურებენ და ამით მტერს ხელს აძლევენ, რომ საბოლოოდ გაგვანადგურონ. საქართველოში თითქმის ყველა მოქანდაკეს შეეხნენ. მოსპეს მათ მიერ შექმნილი ძეგლები და მორალური ტკივილი მიაყენეს მათ. ესეც არ იკმარეს და გაძარცვეს გალერეა და გამოუსწორებელი ტკივილი მიაყენეს მერაბ ბერძენიშვილს.

— ალბათ, დაგულისყურდებოდით ვინ იყო მონუმენტის განადგურების მოთავე. მიმართეთ თუ არა ვინმეს და რა პასუხი მიიღეთ?

— მივმართე პრეზიდენტს განცხადებით, თუმცა, იმედი არც მაქვს, რომ წერილი ადრესატამდე მივა. მოვითხოვ, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ამ ბოროტულ ფაქტზე. „ამირანი“ უნდა აღდგეს ბოროტმოქმედთა ხარჯზე. მივმართავ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ყველა ხელოვანს, სახალხო დამცველს, მთელ ქართველ ერს — აღვდგეთ და შევებრძოლოთ „ამირანის“ განადგურების ფაქტს, თორემ შემდეგში, სხვის ნამუშევრებსაც მიადგებიან და ასე შემოგვეძარცვება ხელოვნების ყველა ის ნიმუში, რაც ძვირფასი და აუცილებელია ჩვენი ერისთვის.

— თუ დაგიკავშირდათ ვინმე ძეგლის დემონტაჟის შემდეგ ხელისუფლებიდან?

— ჯერჯერობით არავინ დამკავშირებია, თუ არ ჩავთვლით სიღნაღის რაიონის გამგებელს, რომელმაც მითხრა, რომ ეს ზემოდან იყო დავალებული და ბრძანების შეუსრულებლობა შეუძლებელი იყო. დღესაც ტურისტული ბაზის ეზოში ყრია ჩემი მონუმენტის დამსხვრეული ნაწილები.

— თქვენი აზრით, რატომ მოახდინეს „ამირანის“ დემონტაჟი? ვიდრე ეს ფაქტი მოხდებოდა, ხომ არ ყოფილა მცდელობა თქვენი სხვა ნამუშევრის განადგურებისა?



ვახტანგ ონიანი

— ეს ადვილი მისახვედრია. ანადგურებენ ეროვნულს, რაც კი რამეა დარჩენილი. არ სურთ საქართველოს წარსული. რა უნდათ, ვერ გავიგე. ჩემი ნამუშევრების უმეტესი წილი განადგურებულია — ჭავჭავაძის, ვაჟას, ერეკლე II-ის, ასევე ფიროსმანის და სხვათა რელიეფური და ბარელიეფური ნამუშევრები. ამდენ დანაშაულებს და გულისტკივილს დაემატა „ამირანის“ მონუმენტის დემონტაჟიც.

ახლა დარჩენილია „ცოდნის სვეტი“, ეს სვეტი სააკაშვილის ყოფილი კაბინეტის წინაა. შეიძლება მალე ამასაც საფრთხე დაემუქროს, იმიტომ, რომ სერიულად მიმდინარეობს კულტურული ძეგლების განადგურება. ეს კარგ შედეგებამდე არ მიგვიყვანს.

— თუ გაქვთ ინფორმაცია, რატომ მოახდინეს მონუმენტისგან ამ ადგილის „გასუფთავება“, რა უნდა განთავსდეს „ამირანის“ ადგილას, თუ გსმენიათ ამის შესახებ?

— ზოგი ამბობს, ამ ადგილს პრეზიდენტი თავისი ვერტმფრენის დასაჯდომად ამზადებს და ამიტომ გადაწყვიტეს „ამირანის“ მონუმენტის დემონტაჟიო. მოკლედ, ვერ გაიგებ, რა ხდება და რა მიზანია ამაში ჩადებული. კონკრეტულად არაფერი ვიცი, არ მსურს, ეს ყველაფერი დავიჯერო. საითკენ მივდივართ? იქ, სადაც დოდაშვილის ძეგლი არ დაინდეს, სადაც დავით აღმაშენებელს ადგილი შეუცვალეს და ქალაქიდან გაძევეს, ვერ ვხვდები, რაღაზე შეიძლება ვილაპარაკოთ.

მე კიდევ რაღაცის იმედი მაქვს, იქნებ გამოსწორდეს ამ მხრივ ვითარება, თორემ მტერი საბოლოოდ გაგვანადგურებს. „ამირანს“ ანადგურებენ და „ამრას“ მონუმენტის დადგმაზე მუშაობენ. ვისაც ხელოვნების რამე ესმის, ამაზე, რბილად რომ ვთქვა, ძალიან ცუდი გამოხმაურება იქნება.

— რას აპირებთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მოთხოვნა უყურადღებოდ დატოვეს?

— მე არ გავჩერდები. ეს ბარბაროსული ქმედება უნდა აღიკვეთოს და ასეთი ფაქტები არ უნდა ხდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაცნობებ მსოფლიო ძეგლთა დაცვის ყველა ორგანიზაციას, უპირველეს ყოვლისა — იუნესკოს.

* * *

მაშინ ვახტანგი 76 წლის იყო. იმის შემდეგ 11 წელიწადი გავიდა. ახლა ჩვენ ერთმანეთის ახლომარედ ვცხოვრობთ. ჩვენს სახლებს შუა პატარა მწვანე ბაღია. ამ ბაღში უკვე გვარიანად მიმხცოვნებული დიდოსტატი თავის ნაგაზს დაასეირნებს ხოლმე. მე ჯერ გადავწყვიტე ახალი ინტერვიუს ჩამორთმევა, მაგრამ ამერიკელი ჟურნალისტის მიერ თავის დროზე ჩამორთმეული ინტერვიუ იმდენად სრულყოფილია, რომ ისევ იმ ინტერვიუს მიხედვით გასაუბრება ვამჯობინე.

გაჯავრებულმა და ფრიად შეურაცხყოფილმა დიდოსტატმა, როგორც ხედავთ, თვით იუნესკოსაც კი მიმართა, მაგრამ, როგორც თავადვე ჩემთან საუბარში თქვა , იუნესკოს ყურიც არ შეუბერტყავს.

„ამირანმა“ თითქმის ოცდაათი წელიწადი „იცოცხლა“, მაგრამ ჩვენი დროის ძეგლთმსხვრეველნი 2008 წელს „მოკლეს“, თუმცა ამირანის „მოკვლა“ შეუძლებელი საქმეა, ისევე, როგორც თვითონ საქართველოსი, რომლის მოკვლაც ამ ძეგლთმსხვრეველთ გადაწყვეტილი ჰქონდათ იმავე 2008 წელს, როცა ძმათამკვლელი ომი გააჩაღეს, ვითომც ჩვენი მიწა-წყლის გაერთიანების მიზნით, სინამდვილეში კი ჩრდილოეთის მურა დათვს ჩამოაკბეჩინეს კარგა გვარიანად მოზრდილი ორი მსუქანი ნაჭერი და ჰალვა-ჰალვას ძახილისა არ იყოს, მარტო ოკუპანტის ძახილით უნდათ, რომ „მოვიკლათ ძველი დროების დარდი“.

არადა, 2008 წელს „მოკლული“ „ამირანი“ ისევ სამზეოში მოსვლას ითხოვს. გმირი, რომელიც ოდესღაც კავკასიის მაღალ ქედზე იყო მიჯაჭვული და იმ ჯაჭვის გაწყვეტას ლამობდა, ახლა სადღაც ბნელ სარდაფშია გამომწყვდეული. ნუთუ არ გესმით ამირანის ხმა-ხადილი?! ამ გაზაფხულის გამუდმებული ჭექა-ქუხილი და მეხთატეხა რატომ არ გჯერათ, რომ თვითონ ამირანის ხმაა, თვითონ ამირანი გვიხმობს, ჩემს ძველ ადგილას თუ არა, აგერ ზაჰესში ძეგლმოგლეჯილი კვარცხლბეკი რომ დგას ობლად ამდენი წელიწადია, იქ მაინც მიმიჩინეთ სამუდამო სამკვიდრებელიო. ნამდვილად ხორცშესასხმელი აზრია. პრომეთეოსისა არ იყოს, ამირანმაც ხომ ჩვენთვის მოსტაცა ღმერთებს ცეცხლი. ზაჰესის ცარიელი კვარცხლბეკი ზედგამოჭრილია!

რატომღაც ღრმად მჯერა, რომ ჩვენი დროის ჭეშმარიტ მამულიშვილთა ძალისხმევით, ბოლოს და ბოლოს, თავს აიშვებს ამირანი და ვინც შეჰნატრის იმის სიკვდილს უმალ მასვე დაამიწებს.

ამირან, მთავარია, შენ შემქმნელთან ერთად ეგ ბრინჯაოს გული არ გაიტეხო! რაც მტკვრის ზვირთებში ნათელია, ამიერიდან შენ განკარგავ!..

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ამირანამდე“ ცოტა ხნით ადრე ვახტანგ ონიანმა „გაქვავებული ცრემლი“ შექმნა, რომელი ცრემლიც მერე, უკვე იავარყოფილ ამირანს, ბრინჯაოს ღაწვზე ჩამოუგორდება.

პუბლიკაცია მოამზადა
გურამ გოგიაშვილმა

ასე გამოიყურება სიღნაღის მისადგომი, სადაც „ამირანი“ იდგა

ანდერძადა ვწერ წადილსა, მოწმედა ქრისტეს თვალია...

მკითხველისთვის ცნობილია, რომ ვაზს მივუძღვენი არაერთი ლექსი, 850 წლის შოთა რუსთაველს კი 850-სტრიქონიანი პოემა მისთვის საკადრისი რითმითა და მარცვლით. წიგნად დაიბეჭდა სათაურით „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“, რამაც გამოიწვია დიდი ინტერესი, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. უმორჩილესად ვთხოვ ქველმოქმედებს, გამიწიონ დახმარება წიგნის განმეორებით გამოცემაში, რომლის მთლიანი ტირაჟი გავრცელდება უფასოდ.

რუსთაველისადმი მიძღვნილი პოემიდან საილუსტრაციოდ გთავაზობთ რამდენიმე სტროფს.

გულმა რომ ლაღად ამოთქვა ვაზის გასხვლისას სიტყვები,
და არა მქონდა ფანქარი, გუშინწინდელსა გიყვები,
კალმად ავიღე წალამი, ფურცლად კი მიწა-მკლავები,
და სტრიქონები ავაწყე, რასაც მე ახლა მოვყვები.

ღმერთო, ღმერთო, გევედრები სიბოროტე ყველას სძულდეს,
ავსა სისხლი დაეწმინდოს, რომ სიავე დაუსრულდეს,
ქველსა დარდი შენ მოაკელ, მას სიცოცხლე გაუგრძელდეს,
კაცსა კაი რაცა სურდეს, საწადელი აუსრულდეს.

მევენახე რთველში იხმობს მოხალისეს გონიერსა,
ბავშვსა, მოზარდს, ახალგაზრდას, ხელმარჯვეს და მშვენიერსა,
ვაზის ძირში ღმერთსა ლოცავს, მას მერე კი ღონიერსა,
ვიცი, მიხვდით, რომ ვგულისხმობ საქართველოს განიერსა.

ვით ნორჩი ყლორტი ვაზისა ჩაეჭიდება მავთულსა,
ერი მისებრად ეკვრება „ვეფხისტყაოსანს“ ჩაწნულსა,
მტერიც რომ ამას აკეთებს და აღიარებს ამ წნულსა,
ცოცხლად მიტომაც გიცქერით დღესაც ფიქრებში გართულსა.

ბევრი ვიფიქრე, რუსთველო, სიკეთით, არა ჯავრითა,
უკვდავად როგორ იქეცი - სახელოვანი გვარითა?
ვხსენი და ვენახს ამოვხსენ რიგებში ვაზთა ჯარითა,
დალოცვილი ხარ ღვთისაგან ნინოს ვაზისა ჯვარითა.

კვალსა გონებით გავყევი, მადლობელი ვარ თავისა,
ვარსკვლავმაგვარი ძმაც ვპოვე, შენი და არა სხვაისა,
თან გამოვნახე ამინდი საუკეთესო თესვისა,
ძმადნაფიცი ხარ ვაზისა დაუჭკნობელი ფესვისა.

ამას მერე მეტადა მსურს, ვეშაირო რუსთაველსა,
კაცსა ბრძენსა, გულით ქველსა, პოეზიის წარმმართველსა,
სულით ტკბილსა, ხელით თბილსა, სიცოცხლით კი საკვირველსა,
ვეტრფიალო მის აზრებსა, ვაზებსა და ხვალის რთველსა.

ვაზი გამძლე ვარ გვალვისა, ეს ჩემი ფესვის არსია,
როგორც ვენახი კაცისთვის ცხოვრების შინაარსია,
ამაყად დავძენ, ნაღდია, აქ არაფერი ფარსია,
ვაზის და ღვინის ქვეყანა კვლავ აყვავების ღირსია.

გამიადვილდა ლაღობა ვაზებისა და რთველისა,
ერისა უძლეველისა, ტურფად, ნატიფად მრთველისა,
ქველისა უშურველისა, კაცისა მუდამ მშველისა,
იმგვარ-მაგვარი რითმებით, რაცაა რუსთაველისა.

ჩემგან ნაქადი მცირეა ოქროს ქამრიან შოთასთვის,
ვამზეევებ და არ დავმალავ, უფრორე მეტად ვაზისთვის,
მაგრამ რა ვუყო, ისწრაფვის გონება წიგნის წერისთვის,
დავბადებულვართ შრომისთვის, ოცი ათასი დღისათვის.

ღმერთმა ქნას, წუთისოფელი დავტოვოთ დალხინებული,
ძე და ასული ორთავე ათასად გამრავლებული,
ბაღ-ვენახები, ველები ბაღნარად დამშვენებული,
ხვალის თაობას გადავცეთ სამშობლო გამარჯვებული.

ჩვენი პატარა ქვეყნისთვის დღეს საარაკო ძნელია,
თუმცა არაკი ქართველებს შეეფერება გრძელია,
წინაპრებისა ამაგი საკვირველი და ქველია,
ჩვენი ნაღვაწი ჩვენს უკან შთამომავლისა მრთველია.

ანდერძადა ვწერ წადილსა, მოწმედა ქრისტეს თვალია,
მანათობელი ნაბიჯი მომავლისათვის კვალია,
ნატერფალი კი ნატიფი შთამომავლისთვის ვალია,
აღარ ვაგრძელებ თხრობასა, სიახლე გასაკვალია.

– აწ კიდევ შოთა ვშაირობ, სიცოცხლე
მიფასდებოდა,
ღმერთიც მწყალობდა, თამარიც,
მძლე გული ბადაგდებოდა
სიმერემ ჯოხი მომგვარა, ბერიკაცს მეამებოდა,
ჩემად ბებრული გონება მოგონებებით ტკბებოდა...

თამაზ ძვლივიძე
ტელ.: 599-10-43-18

ვითომ პასუხის პასუხად

ბატონ ე. ბატიაშვილს

**„ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!
ვირები ხართო, ვინა ყრიხართო,
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ სთქვა, —
რაც კოკაში სდგა,
იგივე თურმე წარმოსდგინდება“.**

ილია ჭავჭავაძე

ნორმალური მკვლევარ-ისტორიკოსი ჩვენ მიერ თქვენი ნაშრომის ერთ საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებას ასეთი აგრესიითა და შეურაცხყოფით არ უპასუხებდა. თანაც მე თქვენ სახალხო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე გესაუბრებით, თქვენ კი დიდ ილიას ეფარებით და კვლავაც ფართოდ წარმოაჩენთ მისი უმდიდრესი შემოქმედების ამა თუ იმ მხარეს. ეს თავისთავად დიდებულია, მაგრამ ჩემს კონკრეტულ თხოვნაზე, აგეხსნათ, რას ნიშნავს თქვენი კატეგორიული და „შეუვალი“ დასკვნა — „ზვიადმა თავიც დაიღუპა და ძვეძანაცო“, პასუხს გაურბიხართ, რაღაცებს მიედ-მოედებით, იმ კონტექსტში წინადადებების გადაადგილებით და მრავალწერტილების მოშველიებით ცდილობთ, გაამართლოთ თქვენი „თეზისი“, რისი მტკიცებულებაც, ისეც და ასეც, ფაქტობრივად, ნულის ტოლია.

თქვენ ერთადერთი კარგი გამოსავალი გქონდათ — მონანიება ღვთის წინაშე, ზვიადის მიმართ თქვენ მიერ დაშვებული უხეში შეცდომისა თუ ცილისწამებისათვის. ღმერთი მაღალია და მოგიტევებდათ. უაამისოდ ვერასოდეს მოხვდებით ღვთის სასუფეველში, რომლისგანაც, აშკარად გეტყობათ, ძალიან შორსა ხართ, განსხვავებით ქრისტიანმართლმადიდებელ ქართველთა უმრავლესობისა, რომელთაც შეიგნეს, რომ სამყაროს ღმერთი განაგებს.

მშვიდად ვარ, რომ დიდი ხანია, ჩემ ახლობლებსა და მეგობრებთან ერთად, ამ სამყაროს ვეკუთვნი.

გაგიკვირდებათ, ალბათ, აღნიშნულს რა კავშირი აქვს ჩვენს ე.წ. დისკუსიასთან. თქვენდა სამწუხაროდ, უშუალო კავშირი აქვს. საქმე ისაა, რომ თქვენ მიერ გამოქვეყნებული უხამსობით დატვირთული პასუხის შემდეგ შემოსული სატელეფონო ზარებიდან უმეტესობა ყურადღებას ამახვილებდა თქვენს შეუსაბამო ქმედებებზე... თანაც ყველა აზრის პათოსი ერთნაირი იყო — „მგლის თავზე სახარების კითხვას აზრი არა აქვსო“.

ამ მხრივაც, როგორც ჩანს, ეკლესია და მონანიება თუ გიხსნით, რასაც გულწრფელად გირჩევთ.

დასასრულ, ელ. ბატონო, ჩემმა მცდელობამ — გამერკვია თქვენი ვინაობა, შედეგი გამოიღო — სწორედ რომ დიდი პიროვნების „დაწიხლვას“ გსაყვედურობდით და თქვენმა თვითაღიარებამ — „ვირის წიხლი საწყენი არ არისო“ — გაგცათ...რისი მსგავსიც კი, თქვენთვის მე არ მიკადრებია.

მშვიდობით, ბატონო ელბერდ, მიუხედავად ყველაფრისა, წარმატებებს გისურვებთ ყველა კეთილ საქმეში.

რევაზ გოგოხია

კორონავირუსისაგან დევნილი ლიტერატურული ანოტაცია

უმშვენიერესი ჟურნალი „ისინდი“ №9

მარტის გოლოს გამოვიდა ლიტერატურული ჟურნალი „ისინდის“ მე-9 ნომერი (რედაქტორი იკა ქადაგიძე).

ყდის პირველი და მეოთხე გვერდის ნახატები („შუადღე“ და „ზღვა წვიმის შემდეგ“) ეკუთვნის ცნობილ მხატვარ **მზია ხალვაშს**, მეორე ნახატს ამშვენებს **იკა ქადაგიძის** ლექსი „ზღვა“.



ჟურნალი იხსნება რედაქტორის წინათქმით.

ფრიდონ ხალვაშის დაბადების 95 წლისთავთან დაკავშირებით პოეზიის რუბრიკაში ქვეყნდება მისი შვიდი ლექსი. მკითხველი აქვე გაეცნობა **ნოშრევან თავხელიძის, ტარიელ ხარხელაურის, შოთა ჩანტლაძის, ნანა ობოლაძის, ვერო ვერულაშვილის, გერმანე საზანოელის პოეტურ ქმნილებებს** და **ნანა შალამბერიძის** მიერ თარგმნილ ირლანდიელი პოეტების ლექსებს.

პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია **ნინო ბაქანიძისა** და **სანდრო ნებიერიძის** მოთხრობები, **ჯემალ მეხრიშვილის** ნოველა.

ჟურნალი არც ამჟამად ღალატობს კრიტიკის ჟანრს. აქ პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს **იკა ქადაგიძის** მწვავე პოლემიკური სტატია და აგრეთვე **მარსიანის, მაია მიქაბერიძის, ნიკოლოზ სარაჯიშვილის, რუსუდან ჭანტურიშვილის** წერილები და **ჯემალ მეხრიშვილის** ორი რეპლიკაც...

პუბლიცისტიკის განყოფილებაში გამოქვეყნებულია **იკა ქადაგიძის, ზურაბ ხასაიას** და **ნაპო კვარაცხელიას, ვახტანგ ბახტაძის, ვანო გელაშვილის** წერილები.

„თარგმანი“ წარმოდგენილია **ლერი ალიმონაკის** მიერ გადმოქართულებული რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების, ვედების ნაწილით — მანტრები. ჟურნალს აგვირგვინებს რუბრიკა „მოგონება“, სადაც **თეიმურაზ ნადარეიშვილი** მოგვითხრობს **ვლადიმერ ვისოცკისა** და **ანდრეი ტარკოვსკისთან** დაუვიწყარ შეხვედრებზე.

გიორგი ოზაანელი

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ჩიქობავას ქ. №42/5.
599 79-76-79; 568 82-09-84

რუსეთის აფხაზეთში აერო-კოსმოსური საშუალებები შეაქვს!..

ბოლო ორი კვირის განმავლობაში რუსეთის მიერ მართულმა უშიშროების ძალებმა უკანონოდ აღმართეს ღობეები და გააძლიერეს არსებული უკანონო „ბორდერიზაციის“ პროცესი 12 ქართული სოფლის მიმდებარედ. ამის პარალელურად, რუსეთი ახალ მოთხოვნას აყენებს. რუსეთი მზად არის, „ღია ცის შეთანხმებასთან“ დაკავშირებული სადამკვირვებლო მისია დაუშვას კავკასიის საზღვრის გასწვრივ 10-კილომეტრიან ზონებში, თუკი საქართველო ნებას მისცემს რუსეთს, იფრინოს მის ტერიტორიაზე.

სერგეი ლავროვის უწყებაში წუხან, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია ხელმიუწვდომელია რუსეთის მისიისთვის – „ღია ცის შეთანხმება“ – ისევე, როგორც მრავალეროვნული მისიებისთვის რუსეთის მონაწილეობით.

კითხვაზე, რატომ არ უშვებს რუსეთი სადამკვირვებლო ფრენებს რუსეთ-საქართველოს საზღვრის 10-კილომეტრიან ზონებში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ თავად შეკითხვა შეიცავს პრობლემას, რადგან ასახავს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“, როგორც საქართველოს რეგიონების დასავლურ გაგებას: „ამ გზით, პრობლემის სათავეს აქვს პოლიტიკური ხასიათი. აშკარაა, რომ პოლიტიკური უთანხმოება ვერ მოგვარდება „ღია ცის შეთანხმების“ დებულებების გათვალისწინებით. ეს ამას არ მოიცავს“.

ლავროვის უწყების საპასუხოდ ოფიციალური თბილისი აცხადებს, რომ საქართველომ 2012 წელს შეაჩერა „ღის ცის შეთამხებით“ ნაკისრი ვალდებულება რუსეთთან. როგორც დავით ზალკალიანმა აღნიშნა, 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთმა ყველა საერთაშორისო შეთანხმების, მათ შორის „ღია ცის შეთანხმების“ განსხვავებული ინტერპრეტაცია დაიწყო.

„ჩვენ 2012 წლის შემდეგ ეს ხელშეკრულება გვაქვს შეჩერებული რუსეთთან მიმართებაში და არ ვუშვებთ ფრენებს, რომელიც უნდა განახორციელოს რუსთის ფედერაციამ საქართველოსთან მიმართებაში. ეს პოზიცია არაერთხელ იყო გაჟღერებული ვენაში ერთობლივ საკონსულტაციო ჯგუფის ფარგლებში. იყო გაკეთებული საჯარო დამგმობი განცხადებები საქართველოს მხრიდან და ყველა ჩვენი პარტნიორის მხრიდან. ამ სიტუაციაშიც, ჩვენ ვართ ძალიან მჭიდრო კომუნიკაციაში ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან. ასევე, გრძელდება კონსულტაციები ამ ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნებთან, რათა განვსაზღვროთ თუ როგორი იქნება ჩვენი შემდგომი მონაწილეობა ამ ხელშეკრულებაში“, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

რუსეთი, რომ ძალის დემონსტრირების ახალ მეთოდს იყენებს, ამაზე აშშ-ის საელჩოც საუბრობს. საელჩო კიდევ ერთხელ მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია, შეასრულოს 2008 წლის ვალდებულებები, გაიყვანოს თავისი ძალები და შეწყვიტოს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების დაბლოკვა.

„ამერიკის შეერთებული შტატები პროტესტს გამოთქვამს მიმდინარე, პროვოკაციულ „ბორდერიზაციასთან“ დაკავშირებით, რომელსაც ახორციელებს რუსეთისგან მართული უშიშროების ძალები, რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ. ბოლო ორი კვირის განმავლობაში, რუსეთის მიერ მართულმა უშიშროების ძალებმა უკანონოდ აღმართეს ღობეები და გააძლიერეს არსებული უკანონო „ბორდერიზაციის“ პროცესი 12 ქართული სოფლის მიმდებარედ.

ამერიკის შეერთებული შტატები არ შეასუსტებს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. ჩვენ კვლავ ვიმეორებთ ჩვენს მოთხოვნას: შეწყვიტოს რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია, შეასრულოს 2008 წლის ვალდებულებები, გაიყვანოს თავისი ძალები და შეწყვიტოს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების დაბლოკვა“, – ნათქვამია აშშ-ის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ კრემლის შესაძლო ახალ აგრესიაზე ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტმა „Financial Times“-თან საუბრისას. სალომე ზუბარიშვილი მიუხედავად პანდემიური კრიზისისა, ევროკავშირის ლიდერებს უფრო მჭიდრო კავშირისკენ მოუწოდებს. გამოცემის ცნობით, საქართველოს პრეზიდენტი გაფრთხილებას იძლევა, რომ რუსეთის მიერ კორონავირუსის გავრცელების შესაკავებლად ბრძოლა და ეკონომიკური კრიზისი, რომელიც გამოწვეულია ნავთობის ფასების დაცემით, შეიცავს რისკს გამოიწვიოს კრემლის ახალი აგრესია მის საზღვრებს გარეთ.

პრეზიდენტის მოსაზრებას იზიარებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომლის განცხადებით, გამორიცხული არ არის, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ რუსეთმა ამ მდგომარეობაში იარაღს მოჰკიდოს ხელი, თუმცა თვლის, რომ გააგრძელებს წვალების პროცესს, რაც გამოიხატება ბორდერიზაციაში.

„რასაც ბოლო ხანებში ვუყურებთ, რუსეთმა აგრესიის სტილისტიკას მეტნაკლებად უღალატასავით. ისე ხშირად არ იყენებს. უკრაინაში გრძელდება პრობლემური სიტუაცია, რუსეთი ცდილობს, იყოს ორი რეგიონის ჩრდილში, მაგრამ პოლიტიკურად ძვირი უჯდება უკრაინის მიმართულებით ძალის გამოყენება, რაც მერე ეკონომიკურ გაძვირებაში გადავა.

ამ პანდემიის ფონზე, არ მეგონა, რომ საქართველოსთვის მოიცლიდა. როგორც ჩანს, კუდიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს. რუსეთი სწორედ იმაზეა გამწარებული, რომ საქართველომ მოუარა იმას, რასაც ვერ მოუარა რუსეთმა – არ არის გამორიცხული, რომ ნახევარად ხუმრობით ნათქვამი ეს ფრაზა, ტყუილი იყოს“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძე.**

პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი **თამარ კიკნაძე** ამბობს, რომ ბორდერიზაციის პროცესი, რომელსაც რუსეთი ბოლო ორი კვირაა, ახორციელებს, ზეწოლის მექანიზმია, რომ საქართველო წამოიყვანოს თავისთვის სასარგებლო გარიგებაზე, რაც არის ძალის დემონსტრირება.

„უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთში არის სხვადასხვა პოლიტიკური ძალები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ ინტერესებს ატარებენ. საინტერესოა, ვინ არის ამ ყველაფრის ავტორი. საქართველოში ამბობენ, რომ პუტინს ყველაფერი შეუძლია, მაგრამ არ შეუძლია. ამას წინათ კანონპროექტი ვერ გაიტანა დუმაში, იმდენად ძლიერია რუსეთში ლიბერალების კლანი. რუსეთში რთული პროცესი მიდის, ბრძოლა ლიბერალებსა და პუტინის ძალებს შორის. რთული პერიოდია და საქართველოს მართებს ძალიან ფრთხილი ქმედებები. რაც მთავარია, ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის ქონა, კულისებს მიღმა იხატება ეს პროცესები და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ჰქონდეს ინფორმაცია, რომ გადადგას სწორი ნაბიჯები“, – აცხადებს თამარ კიკნაძე.

რაც შეეხება „ღია ცის შეთანხმებას“ თამარ კიკნაძე ამბობს, რომ ამერიკა გამოდის ამ ხელშეკრულებიდან, ისევე როგორც ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და კონცენტრირებულია ამერიკის საშინაო პრობლემებზე. როგორც პოლიტოლოგი ამბობს, იგივე ხდება ევროპაში, რასაც რუსეთი ხედავს.

„რაც შეეხება საქართველოს, სააკაშვილი „გვიმტკიცებს“, რომ ანტირუსია, მაგრამ 2008 წლის ომის შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველაფერი რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვიტა. სააკაშვილმა გააკეთა ისე, რომ რუსეთთან სავაჭრო არაფერი გვაქვს. ამიტომ აყენებს რუსეთი ასე საკითხს. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია, რა პოზიციას დაიჭერს აშშ და ევროპა. დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს ახალი წესრიგის ფორმირების პროცესი. როგორც სპეციალისტები ამბობენ, რამდენიმე წელიწადში მსოფლიო წესრიგის სტრუქტურაში აბსოლუტურად სხვა გადანაწილებას მივიღებთ. ამ პერიოდში საქართველო უნდა იყოს ძალიან ფრთხილად, რაც შეიძლება ნაკლებად წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდეს“, – აცხადებს თამარ კიკნაძე.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ამბობს, რომ მოთხოვნა, რომელსაც რუსეთი აყენებს, კარგად შენიღბული ნაღმია. მისი თქმით, რუსეთის მოთხოვნა პირდაპირ კავშირშია ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებასთან, რომელიც გამოდის „ღია ცის შეთახმებიდან“.

„ამერიკელები ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ რუსეთი არ აძლევს საშუალებას, ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის თავზე განახორციელონ სადაზვერვო ფრენები. ფაქტობრივად, კრემლმა საქართველოს ოკუპირებული რეგიონები გადააქცია თეთრ ლაქად, სადაც ისინი არავის უშვებენ, სადაზვერვო ფრენებსაც კი.

რამდენადაც ვიცი, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაიწყეს აეროკოსმოსური საშუალებების შეტანა. დიდი ალბათობაა იმისა, რომ გადააქვთ ახალი ტიპის მოდერნიზებული იარაღები, მათ შორის სტრატეგიული დანიშნულების, რომელთა გამჟღავნება არ უნდათ. მაგალითად, გუდაუთის აეროდრომზე განთავსებულია „მიგ-29“, რომელსაც შეუძლია ატაროს ზებგერითი ფრთოსანი რაკეტები და ეს არის ახალი ტიპის შეიარაღება“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ვახტანგ მაისაია.

თამთა ძარჩავა

ყველაზე დიდი ელექტროთვითმფრინავი

მსოფლიოს ყველაზე დიდმა ელექტროთვითმფრინავმა პირველი ფრენა შეასრულა. Cessna Caravan-ი ელექტროძრავითაა აღჭურვილი და 9 მგზავრის გადაყვანა შეუძლია.

ვაშინგტონის შტატში პირველი ფრენა 30 წუთი გრძელდებოდა და თვითმფრინავმა 183 კმ/სთ სიჩქარე განავითარა. ელექტროთვითმფრინავი magnic-მა შექმნა. კომპანიაში იმედოვნებენ, რომ 2021 წლის ბოლოსთვის კომერციულ სფეროს მოცავენ. ამავე პერიოდისთვის ვარაუდობენ, რომ ელექტროთვითმფრინავის საფრენ მანძილს 161 კილომეტრამდე გაზრდიან.

პროტესტიც ასეთი უნდა

SAMSUNG-ის ყოფილმა თანამშრომელმა პროტესტის ნიშნად სეულში, მოძრაობის კამერის ანძაზე 354 დღე გაატარა. ასე ის კომპანიიდან თავის გათავისუფლებას აპროტესტებდა. აქცია მან მას შემდეგ შეწყვიტა, რაც Samsung-მა ბოდიში მოუხადა და კომპენსაციის გადახდაზე დათანხმდა.

60 წლის კიმ იონგ ჰი Samsung-ის სათავო ოფისთან მდებარე 25-მეტრიან ანძაზე 2019 წლის 10 ივნისს ავიდა და კომპანიისგან მისი უსამართლო გათავისუფლებისთვის ბოდიშის მოხდა და კომპენსაცია მოითხოვა. მას შემდეგ ის ანძაზე ცხოვრობდა. საკვებს და ტანსაცმელს მას თოკზე მიბმული კალათით აწვდიდნენ. კიმ იონგ ჰი 1995 წელს, პროფკავშირის ჩამოყალიბების მცდელობის გამო გაათავისუფლეს.

ᲠᲐᲡ ᲔᲫᲔᲑᲔᲜ ᲩᲐᲫᲘᲠᲣᲚ ᲢᲘᲢᲐᲜᲘᲙᲖᲔ?!

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ მოსამართლემ ერთ-ერთ სამაშველო კომპანიას უფლება მისცა, განახორციელოს გეგმა, რომლის მიზანიც იმ ტელეგრაფის აღმოჩენაა, რომლითაც ტიტანიკი ჩაძირვისას შველას ითხოვდა.

კომპანია **RMS Titanic, Inc**-ი დისტანციური მართვის ხომალდის შეგზავნას აპირებს ტიტანიკის ე. წ. მარკონის კომპლექტში, ოთახში, საიდანაც 108 წლის წინ, აისბერგთან შეჯახების შემდეგ, ოპერატორებმა დახმარების სათხოვნელად მორზეს ანბანით ზარები განახორციელეს.

მოსამართლის განჩინებით, ამ რადიოს საკმარისი ისტორიული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ღირებულება აქვს, რათა ეს ექსპედიცია აღსრულდეს.

„რომ არა ეს რადიო, ვერ გაიგზავნებოდა განგაშის სიგნალები, ვერ გადარჩებოდა ვერავინ და შეიძლება, ტიტანიკი ვერც ვერასოდეს გვეპოვნა“, — ამბობს **RMS Titanic, Inc**-ის პრეზიდენტი ბრეტონ ჰანჩაკი.

მოსამართლემ გააუქმა ის 2000 ორდერი, რომლებიც კომპანიას გემთან მიახლოებას უკრძალავდა. ახლა, 20 წლის შემდეგ, არსებობს იმის საშიშროება, რომ თუ ექსპედიცია დროულად არ შედგა, ის შეიძლება ვეღარასოდეს განხორციელდეს.

„მარკონის კომპლექტი რკინის დეტალებისგან შედგება, რომლებიც თანდათან იშლება და შესაბამისად, თუ ექსპედიცია დროულად არ შედგა, მალე ისინი სამუდამოდ დაიკარგება“, — აღნიშნავს ჰანჩაკი. მისია აგვისტოს ბოლოს ან სექტემბერში შედგება, თუკი ამის საშუალება ჯგუფს კორონავირუსის პანდემიამ მისცა.

დისტანციური მართვის ხომალდს ოპერატორები ტიტანიკის ჩაძირვის ადგილას მცურავი გემიდან გააკონტროლებენ. ხომალდს ისინი წყალში, გემისკენ ჩაუშვებენ; ეს უკანასკნელი მარკონის კომპლექტს მოძებნის, შემდეგ კი ამ ოთახში შევა, გადაიღებს ფოტოებს და სპეციალური ხელსაწყოს გამოყენებით, მარკონის ტელეგრაფს ამოიღებს. ამ ნაწილის ამოსაღებად, სასამართლომ კომპანიას გემის გარკვეული ნაწილის გაჭრის უფლებაც მისცა, თუმცა, როგორც კომპანიაში აცხადებენ, მათი მიზანია, რაც შეიძლება ნაკლებად დააზიანონ ტიტანიკი.

„სახურავზე ბევრი ხვრელია და შესაძლოა, ოთახში ამ გზითაც შევაღწიოთ“, — ამბობს კომპანიის ხელმძღვანელი.

კომპანიისთვის ეს ამ სახის პირველი ოპერაცია არ იქნება. ჩაძირულ გემებზე მისიებს ის 1980-იანი წლებიდან ახორციელებს და უკვე შეგროვებული აქვს ზღვიდან ამოღებული 5000-ზე მეტი ნივთი.

მარკონის ტელეგრაფმა შეიძლება აღადგინოს ის შეტყობინებები, რომლებიც ტიტანიკმა ჩაძირვამდე გააგზავნა და მიიღო. კატასტროფას დაახლოებით 1500 ადამიანი ემსხვერპლა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲫᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
მომზადებულია Business Insider-ის მიხედვით.



„ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ ᲛᲮᲔᲪᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲝᲡ“

ᲐᲨᲨ „ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ-2“-Ს ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲛᲣᲮᲠᲣᲭᲔᲑᲡ

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ -2“, რომელიც რუსული გაზის გერმანიისკენ ბალტიის ზღვის ფსკერით ტრანსპორტირებას ითვალისწინებს, თითქმის დასრულებული იყო, როდესაც ამერიკული სანქციების გამო „გაიყინა“. 2019 წლის დეკემბრიდან სამუშაოები შეწყდა. თუმცა 2020-ის მაისის დასაწყისში გაჩნდა ცნობა: რუსეთი გეგმავს, მშენებლობა უცხოელი კონტრაქტორების გარეშე ხომალდ „кадемик Черский“-ს მეშვეობით დაასრულოს, რომელიც გერმანულ პორტ მუკრანის აკვატორიაში ჩამოდგა.

ამ ცნობის საპასუხოდ აშშ რუსული გაზპრომისა“ და რამდენიმე ევროპული ენერგოკომპანიის ერთობლივ პროექტს ახალი სანქციებით დაემუქრა. საჯარიმო ზომები შესაძლოა, სწრაფად იქნეს მიღებული, განაცხადა გერმანიაში აშშ-ის ელჩმა რიჩარდ გრენელმა გაზეთ Handelsblatt-თან ინტერვიუში, რომელიც 26 მაისს გამოქვეყნდა.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ ᲐᲨᲨ ᲒᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜᲔᲚ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲐᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ? — DW-Ს ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲝᲰᲧᲐᲕᲡ.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲠ�გᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲐᲨᲨ „ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲙᲐᲓ-2“-Ს ᲐᲠᲐ იმდენად ეკონომიკურ, რამდენადაც პოლიტიკურ პროექტად განიხილავს. ამიტომაც თავის პოზიციას გაზსადენის მეორე შტოს (პირველი შტო 2011 წლიდან მოქმედებს) წინააღმდეგ ვაშინგტონი უპირველესად პოლიტიკური შეხედულებებით ხსნის. სანქციების კონკრეტულ მიზნად კი იგი ევროპაში რუსეთის გავლენის ზრდის შეკავებას ასახელებს. შემთხვევითი არ არის, რომ იმავე ელჩმა — გრენელმა ფედერალურ მთავრობას სანქციების საფრთხესთან დაკავშირებით რუსეთის მიმართ პოლიტიკის გადახედვისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ „გერმანიამ მხეცის კვება უნდა შეწყვიტოს“. ვაშინგტონის აზრით, მოსკოვი გაზის გაყიდვით მიღებულ მილიარდებს მადესტაბილიზებელ საგარეო პოლიტიკაზე მიმართავს.

აშშ-ის მეორე დეკლარირებადი მიზანი — ეს ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერაა. ამერიკელთა განცხადებით, სანქციებს არა იმდენად ანტირუსული, რამდენადაც პროევროპული ხასიათი აქვს. ადრე, მაგალითად, გრენელმა „ჩრდილოეთ ნაკად-2“-ს უწოდა „რუსეთის ხელისუფლების უცერემონიო მცდელობა, ენერგომომარაგების კუთხით ევროპელი მოკავშირეებისა და პარტნიორების მოხრჩობა გააძლიეროს“. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კი ამ გაზსადენზე საუბრისას არაერთგზის გააკრიტიკა გერმანია იმის გამო, რომ „ბერლინს თან რუსეთისგან დაცვის იმედი აქვს და თან თავად დებს მოსკოვთან გაზისა და ნავთობის სფეროში ძალიან მსხვილ გარიგებებს, რომელთა საფუძველზეც რუსეთს ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს უხდის“. თავად გერმანიას ტრამპმა „მოსკოვის მძევალი“ უწოდა.

თუმცა ამერიკელების განცხადებას სანქციების პროევროპული ხასიათის შესახებ ევროკავშირის ყველა ლიდერი როდი იზიარებს. ევროკავშირში ხსენებული გაზსადენის მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არის: ქვეყნების ნაწილი, მათ შორის გერმანია მისი რეალიზების მომხრეა, ნაწილი კი, მათ შორის პოლონეთი — წინააღმდეგი. სანქციებმა ბერლინსა და ვაშინგტონს შორის დაძაბულობა გამოიწვია. ასევე სადავოა, გაძლიერდება თუ არა ევროკავშირის რუსულ მიწოდებებზე დამოკიდებულება იმის ფონზე, რომ პროექტი ევროკავშირის მესამე ენერგოპაკეტის პირობებისგან არ გაუთავისუფლებიათ.

ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ

ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ, რომ თავისი სანქციებით აშშ-მა უკვე შეუშალა ხელი რუსეთის გეოპოლიტიკური გეგმის რეალიზებას, უკრაინის ტერიტორიის გავლით გაზის ტრანზიტი შეეწყვიტა.

„ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის ექსპლუატაციაში ჩაშვების თავდაპირველ თარიღად 2019 წლის ბოლო იყო განსაზღვრული. ეს დრო რუსული გაზის ევროკავშირში უკრაინის ტერიტორიით ტრანსპორტირების შესახებ 10-წლიანი კონტრაქტის ვადის ამოწურვას ემთხვეოდა. თუმცა პროექტის დათქმულ ვადებში რეალიზების შეუძლებლობის ფონზე მოსკოვი იძულებული შეიქმნა, 2019 წლის ბოლოს კიევს მიწოდებების 5 წლით გახანგრძლივებაზე დათანხმებოდა.

მსხვილი გაზსადენები — „ჩრდილოეთ ნაკადი“ და „თურქული ნაკადი“ — მოწოდებულია, უზრუნველყონ რუსული ენერგორესურსების მიწოდება კიევისგან დამოუკიდებლად, რომელთანაც მოსკოვს უკვე მრავალწლიანი კონფლიქტი აქვს, მათ შორის — გაზის ტრანზიტის საკითხთან დაკავშირებით. სწორედ პროექტის გეოპოლიტიკურმა შემადგენელმა აქცია, სავარაუდოდ, იგი მნიშვნელოვან თემად საერთაშორისო დღის წესრიგში და გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი რუსეთში. „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის დამუხრუჭებით აშშ-მა რუსეთთან კონფლიქტში უკრაინის მხარე დაიჭირა და კიევს გაზის ტრანზიტისგან შემოსავლის შენარჩუნებაში დაეხმარა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲥᲪᲘᲝᲜᲘᲖᲛᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ, ᲐᲨᲨ - ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐᲡ

ᲑᲔᲕᲠᲘ გარეშე დამკვირვებლისთვის, მათ შორის გერმანელისთვის ამერიკულ სანქციებს უპირველესად ეკონომიკური მიზნები აქვს — საკუთარი თხევადი გაზის ევროპულ ბაზარზე ექსპორტს შეუწყოს ხელი. „ეს უმთავრესად კომერციულ ინტერესებს უკავშირდება“ — განაცხადა DW-სთან ინტერვიუში რუსეთ-გერმანიის საგარეო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელმა მატიას შეპმა.

აშშ-დან უცხოეთში თხევადი გაზის მიწოდებების მოცულობა 2016 წლიდან იზრდება, სადღეისოდ ამერიკა ამ მხრივ ყატარისა და ავსტრალიის შემდეგ მესამე ადგილზეა და თუ საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზს დავუჯერებთ, ქვეყანას შეუძლია, უკვე 2024 წლისთვის პირველ პოზიციაზე აინაცვლოს. ამასთან, ევროპას ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება: მის ბაზარზე ამერიკული თხევადი გაზის მიწოდებების 40% მოდის. თუმცა რუსეთთან შედარებით, აშშ ევროკავშირის გაზის ბაზარზე ჯერჯერობით მეორეხარისხოვანი მოთამაშეა: ევროკომისიის 2019 წლის პირველი დეკადის მონაცემების თანახმად, რუსეთზე ევროკავშირში იმპორტირებული გაზის მთელი მოცულობის 39,4 პროცენტი მოდის, აშშ-ზე კი — მხოლოდ 3,4.

„ᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲘ“ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ევროპელი მომხმარებელი კონკურენციის ზრდით მხოლოდ მოიგებს. „ველით, რომ რუსეთისგან გაზის შესყიდვას მრავალი ქვეყანა გააგრძელებს“, — განუცხადა CNBC-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ენერგორესურსების საკითხებში ფრენკ ფენონმა. — „და მშვენიერი! თუ ეს ბიზნესის კონკურენტულ მოდელს დაეფუძნება, რომელიც ფასწარმოქმნის გამჭვირვალე პოლიტიკას გულისხმობს, ბაზარიც იქნება. მაგრამ ბაზარი ვერ იარსებებს, თუ იქნება მხოლოდ ერთი მომწოდებელი და ჩვენი აზრით, რუსეთს აშშ-დან საექსპორტო გაზის მოცულობების ზრდა აშინებს“.

რუსეთის ხელმძღვანელობა „ჩრდილოეთ კანადი-2“-ის მიმართ საჯარიმო ზომებს პროტექციონისტულად აფასებს, ამერიკულ გაზს კი — არაკონკურენტუნარიანად. თუმცა თუ თხევად გაზზე, მათ შორის ამერიკულზე ევროპელების მოთხოვნას გავითვალისწინებთ, ეს ასე არ არის. რა სახის შეიძლება, იყოს აშშ-ის ახალი სანქციები, რომლებიც გერმანიაში ამერიკის ელჩმა რიჩარდ გრენელმა ახსენა, ჯერ უცნობია. Handelsblatt-ის ვერსიით, შესაძლოა, საუბარი იყოს რიგ ზომებზე იმ ფირმების მიმართ, რომლებიც გაზსადენს ემსახურებიან, ან იმ კომპანიების მიმართ, რომლებმაც რუსეთიდან წამოსული გაზი უნდა მიიღონ. 26 მაისს ინვესტორებთან სატელეფონო კონფერენციის დროს რუსულ კონცერნ „გაზპრომის“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის მშენებლობის დასრულებას 2020 წლის ბოლომდე გეგმავს.

◎ რეგიონი

შავი ზღვაც

ექსკლუზიური **და სასიხარულო ახალი ამბის შესახებ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა გადაცემა „ტაიმაუტში“ სტუმრობისას განაცხადა. „ფედერაციაში უკვე დიდი ხანია ვფიქრობთ და მინდა კიდევ ერთი ინფორმაცია გიგანდოთ. ჩვენ ვიცით ადრიატიკისა და სხვა ლიგები. გვინდოდა, რომ რაღაც ანალოგიური ჩვენს რეგიონშიც შექმნილიყო.**

საქართველოს ინიციატივით, ფიბა-ში დავაყენეთ საკითხი, რომ ჩატარდეს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატი, შეგვიძლია, თასიც დავარქვათ.სიტყვიერი თანხმობა უკვე მიღებული გვაქვს 5-6 გუნდისგან და ფიბა-ში მიდის მსჯელობა ტექნიკურ და იურიდიულ საკითხებზე.

თქვენ იცით, რომ ჩვენი გენერალური მდივანი გიგა ქართველიშვილი გარდა იმისა, რომ ფიბა-ს გამგეობისა და ბორდის წევრია, იურიდიული კომისიის ხელმძღვანელი და პრეზიდენტიც არის. მას ყოველდღიური, ინტენსიური კომუნიკაცია აქვს როგორც რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებთან, ასევე ფიბა-ს ბორდისა და კომისიის წევრებთან. ვფიქრობ, ის, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნები ჩემპიონატს ითამაშებენ, ძალიან კარგი იქნება ჩვენი კალათბურთის განვითარებისთვის. დარჩება სახელი, რომ ამ ჩემპიონატის ინიციატორი საქართველო იყო.“

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ევრობასკეტი

სრული სვლით!

საქართველოს **განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძემ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ პაატა გურასპაულთან ერთად თბილისში, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან ახალი, მულტიფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობა მოინახულა.**

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კორონავირუსის პანდემიისა, 10 000 მაყურებელზე გათვლილი საშვილიშვილო ობიექტის მშენებლობის პროცესი არ შეჩერებულა. სამუშაოები უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მკაცრი რეკომენდაციებისა და წესების სრული დაცვით მიმდინარეობს.

მშენებლობა წინასწარ დათქმული ვადების გათვალისწინებით გრძელდება, რომლის თანახმად, ახალი სპორტის სასახლე 2021 წლის ზაფხულში სრულ მზადყოფნაში იქნება.

საქართველო, ისტორიაში პირველად, კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ჯგუფური ეტაპის მასპინძელი ქვეყანაა. მსოფლიოში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატიც, ისევე როგორც ზაფხულის ოლიმპიური თამაშები და ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი, ერთი წლით გადაიდო და ევრობასკეტი 2021 მომავალი წლის ნაცვლად 2022 წელს ჩატარდება. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ FIBA ევროპის ჩემპიონატს წინასწარ დათქმულ ვადებში ჩაატარებდა, თბილისის ახალი სპორტის სასახლე უდიდეს საკალათბურთო ფორუმს სრულ მზადყოფნაში შეხვდებოდა.

დღევანდელი მდგომარეობით, მთლიანად დასრულებულია საძირკვლის მოწყობისა და მშენებლობის საწყისი ეტაპის სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები, ასევე დასრულებულია ხიმინჯების (110 ცალი) შენება და ნულოვანი ბეტონის ფილისთვის ლითონის კონსტრუქციის მოქსოვა, ამჟამად კი მიმდინარეობს კოლონების მოწყობის სამუშაოები და პირველი სართულის მშენებლობა. ამავე ტერიტორიაზე განთავსებულია შესაბამისი საინფორმაციო ბანერები, ხოლო მშენებარე ობიექტზე დაცულია ყველა სახის სანიტარული და უსაფრთხოების ნორმა.

ბეჭან დოლიძე

საფეხბურთო პოზაიკა

„კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგის 2020 წლის სეზონი 25 ივნისს განახლდება. ჩემპიონატის განახლებამდე მომდევნო კვირის განმავლობაში „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგის 10-ვე გუნდის ფეხბურთელებს პირველადი ტესტირება ჩაუტარდებათ. სავარჯიშო პროცესი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით წარიმართება, მატჩების განახლებამდე კი მოთამაშეები ტესტირებას ხელმეორედ გაივლიან.

„კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგა შეცვლილი ფორმატით განახლდება, რაც გულისხმობს ჩემპიონატის 4 წრის ნაცვლად 2 წრედ ჩატარებას. შესაბამისად, გარდა მარტში გამართული ორი ტურისა, სეზონის განახლების შემდეგ ეროვნული ლიგის მონაწილე კლუბები 16 ტურს ითამაშებენ. მატჩები საწყის ეტაპზე უმაყურებლოდ გაიმართება. სეზონის განახლებასთან დაკავშირებული ამომწურავი ინფორმაცია ეცნობა ეროვნული ლიგის მონაწილე ყველა კლუბს.

სეზონის განახლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების საფუძველზე მოხდება. აღნიშნული ითვალისწინებს ყველა იმ საჭირო პროცედურას, რაც აუცილებელია ეროვნულ ლიგაში ჩართული ყველა პირის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

საწყის ეტაპზე სეზონის განახლება ეხება მხოლოდ „კრისტალბეთ“ ეროვნულ ლიგას. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სხვა ლიგებისა და თასის თამაშების განახლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მოგვიანებით გახდება ცნობილი.

* * *

ინგლისის **პრემიერლიგაში კორონავირუსის მასობრივი ტესტირების რიგით მეოთხე ეტაპი ჩატარდა და წინა სამისგან განსხვავებით, ამჯერად არცერთი დადებითი პასუხი არ დაფიქსირებულა.**

როგორც ლიგის ვებგვერდი იტყობინება, საერთო ჯამში 1130 მოთამაშე შეამოწმეს და ვირუსი არცერთს არ აღმოაჩნდა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ პრემიერლიგის განახლების თარიღად ოფიციალურად გამოცხადდა 17 ივნისი.

* * *

გელზენკირხენის „შალკეს“ ფეხბურთელი ვესტონ მაკ-კენი „ვერდერთან“ შეხვედრაში მოედანზე მინეაპოლისში მოკლული ჯორჯ ფლოიდის პატივსაცემი კაპიტნის სამკლაურით გავიდა.

„სამართლიანობა ჯორჯ ფლოიდისთვის“, — ეწერა კაპიტნის სამკლაურზე ამერიკელ ფეხბურთელს.

მოგეხსენებათ, ჯორჯ ფლოიდი მინეაპოლისში მოკლეს. მის კისერზე პოლიციელის მუხლდაჭერილმა ფოტომ და ვიდეომ მთელი მსოფლიო მოიარა და აშშ-ში საპროტესტო აქციებს დაუდო სათავე, რის შედეგადაც ქვეყნის 27 ქალაქში პრეზიდენტმა ტრამპმა კომენდანტის საათი გამოაცხადა.

* * *

ევროპაში **ფეხბურთი ნელ-ნელა ბრუნდება და უეფასაც კატეგორიულად აქვს გადაწყვეტილი, რომ ევროტურნირების სეზონი დაასრულოს, თან ისე, 31 აგვისტომდე ვადაში რომ ჩაეტიოს.**

Sky Sports-ი ჩემპიონთა ლიგასთან დაკავშირებით ახალ ცნობებს გვაწვდის. ე.წ „ოთხთა ფინალის“ ვარიანტი აქამდეც არაერთხელ წამოწეულა წინა პლანზე და ახლაც ყველაზე რეალურ ვერსიად რჩება.

თუმცა, მანამდე მერვედფინალური მატჩები (სავარაუდოდ 7-8 აგვისტო) და მეოთხედფინალები (ალბათ 13-14 აგვისტო) უნდა გაიმართოს. აღსანიშნავია, რომ 1/4 ფინალში საუბარია ერთმატჩიან დაპირისპირებებზე, რომლებიც ნეიტრალურ სტადიონებზე ჩატარდება (ადგილი ჯერ ცნობილი არაა).

რაც შეეხება „ოთხთა ფინალს“, აქამდე მისი ჩატარება სტამბოლში განიხილებოდა და ახლაც დგას ეს საკითხი დღის წესრიგში, თუმცა, ჰორიზონტზე მეორე ჰიპოთეზა, ე.წ გეგმა B გამოჩნდა, რომლის თანახმად, ნახევარფინალებსა და ფინალს გერმანია უნდა დაუხვდეს.

რატომ გერმანია? პასუხი მარტივია, რადგან ალეგმანიაში პირველებმა განაახლეს ბუნდესლიგა, თამამი ნაბიჯი გადადგეს და მთელ მსოფლიოს დაანახეს სისტემის გამართულობა, აგრეთვე როგორ უნდა ითამაშო ფეხბურთი უსაფრთხოების ნორმების დაცვით კორონავირუსის პანდემიის პარალელურად.

ცხადია, ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ განხილვის სტადიაშია და წესით, უეფა საბოლოო გადაწყვეტილებას 17 ივნისს დაგეგმილ აღმასკომის სხდომაზე მიიღებს.

გიორგი შოთაძე

◎ ძიუდო

8-10 ნოემბერს - პრაღაში

ევროპის **ძიუდოს კავშირმა (EJU) კორონავირუსის პანდემიის გამო გადავადებული 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩატარების ახალი ვადები დაადგინა.**

კერძოდ, ტატამის ოსტატთა ფორუმს წლეულს 8-10 ნოემბერს პრაღის O2 Arena მიიღებს. გადავადებული ჩემპიონატის წინასწარი თარიღი აპრილში გამოცხადდა, ახლა კი EJU-ს და მასპინძლებს შორის მოლაპარაკებების შედეგად, იგი საბოლოოდაა შეთანხმებული. ამასთან, კონტინენტის პირველობა ინარჩუნებს ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის საკვალიფიკაციო სტატუსს. თავდაპირველი გრაფიკით, „ძველი სამყაროს“ პირველობა 1-3 მაისს ასევე პრაღაში უნდა ჩატარებულიყო.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

სენსაციური სვეტა



რუსი **გულშემატკივარი სვეტა ბილიალოვა საქვეყნოდ ცნობილი 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გახდა, რომელსაც მისი სამშობლო მასპინძლობდა. მომხიბვლელმა გოგონამ, რომ იტყვიან, ათიანში გაარტყა და ზუსტად გათვალა, პოპულარობას რა მოუტანდა.**

მუნდიალის მატჩების დროს სვეტა ტრიბუნებზე ბიუსტჰალტერის გარეშე გამჭვირვალე მაისურებით ჩნდებოდა და ირგვლივ მყოფთ მოედნისკენ გახედვაც აღარ უნდოდათ.

ახლა, ორი წლის თავზე მისი პოპულარობა იმდენად გაიზარდა, რომ „ინსტაგრამში“ გამომწერთა რაოდენობა უკვე 6.2 მილიონ ადამიანს აღწევს და ისიც მიმდევრებს მოსაწყენად დროს არ უტოვებს. მეტსახელიც შეარქვეს — „ინსტაგრამის სენსაცია“.

მანუჩარ გიორგაძე



ქართველი ბიზნესმენი, რომელსაც „ირანის უგვირგვინო შაჰს“ ეძახდნენ

ვინ შეიყვანა პირველად რკინიგზა და ავტომანქანა „ფორდი“ ირანში?

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველ მეწარმე-მეცენატთა შორის განსაკუთრებით გამორჩეული პიროვნება გახლდათ აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია. მისი საქმიანობის არეალი მოიცავდა სამხრეთ კავკასიას, თურქეთსა და ირანს. სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობით, აკაკის დიდი გავლენა ჰქონდა ირანის შაჰის კარზე. მაშინდელი დასავლეთევროპული პრესა აკაკი ხოშტარიას მოიხსენიებდა, როგორც „ირანის უგვირგვინო შაჰს“.

აკაკი ხოშტარია 1873 წელს, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში, ტახტის აზნაურის ოჯახში დაიბადა. მისი მამა — მეთოდე, დადიანების მოურავი გახლდათ და სადადიანოს მეურნეობას განაგებდა. დედა — ვარდიკო ავალიანი განათლებული ქალი ყოფილა. სანკტ-პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის დამთავრების შემდეგ, აკაკი რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრაში, პრინც ოლდენბურგთან, სუპერინტენდანტად მუშაობდა. მეთვალყურეობას უწევდა ყველა ბულვარისა და ბაღის მოწყობას შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და დაფინანსებით გაშენდა ახალი ათონის ცენტრალური პარკი, იალტის მთავარი ბაღი, ბათუმის მთავარი ზღვისპირა ბულვარი და მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი. 10-წლიანი მუშაობის შემდეგ, აკაკი ხოშტარია სავაჭრო და სამეწარმეო საქმიანობაში ჩაება. იგი ფოთში მეგობრობდა ცნობილ ვაჭარ ზოდელავასთან. მათ გადაწყვიტეს, სავაჭრო გემით ნავთი სარეალიზაციოდ წაეღოთ ოდესაში, მაგრამ ტუაფსეში ამოვარდნილმა ქარიშხალმა გემი თურქეთში გაიტანა, სადაც ნავთი ოქროს ფასად გაყიდეს. აკაკი თურქეთიდან ბაქოში გაემგზავრა, ნავთობმრეწველ მუსა ნაგიევისგან ნავთობსარეწი დანადგარები, ბათუმში კი სავაჭრო აქციები შეიძინა და მთლიანად ნავთობსამრეწველო საქმიანობაზე გადაერთო.

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში აკაკი ხოშტარიამ ბაქოში ჩამოაყალიბა მსხვილი სამრეწველო კომპანია. დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის ყოფილი პოლკოვნიკი მერაბ კვიტაშვილი თავის მემუარებში წერდა: „ამ ჯგუფს სათავეში ედგა აკაკი ხოშტარია, იმ დროის საქართველოში ერთადერთი ნამდვილი მილიონერი, რომელმაც ნავთობის კონცესიები შეიძინა სპარსეთში და ჩამოაყალიბა ფირმა, სახელად „რეპენტო“ (რუსულ-სპარსული სანავთობე ამხანაგობა). ეს იყო ყველაზე დიდი და ფინანსურად ყველაზე ძლიერი ფირმა, რომლის მსგავსიც კი ქართველებს ოდესმე შეუქმნიათ — მისი პრეზიდენტი იყო აკაკი ხოშტარია“.

გარდა ამისა, აკაკი ხოშტარიამ ბაქოში დააარსა კომერციული ორგანიზაცია — თურქულ-სპარსული „ხოშტარიას ბანკი“, ასევე, 1913 წელს აკაკი ხოშტარიამ დადო 99-წლიანი კონტრაქტი ჩრდილოეთ ირანის მიწათმფლობელებთან, დააარსა კომპანია „პერსლესი“, რომლის კაპიტალი შეადგენდა რამდენიმე მილიონ ოქროს რუბლს. ააშენა თავისი საკუთარი ქარხნები და გაიყვანა სარკინიგზო ხაზი — „ტალრუდი“, ხის მორების გადასაზიდად. აღსანიშნავია, რომ ეს ირანისთვის პირველი რკინიგზის ხაზი იყო.

ასევე, ირანში ჰქონდა მონოპოლია ხე-ტყის, საპნის, ბრინჯის წარმოებაზე, თევზის სარეწები, ვაჭრობდა მატყლით ინგლისელებთან და, რაც მთავარია, იყო ჩრდილოეთ ირანის ნავთობის კონცესიებისა და მთელი ამ ტერიტორიის მიწების კერძო მფლობელი, რომელიც მან შეისყიდა მოჰამედ ალი შაჰის პირველი მინისტრის მოჰამედ ვალი ხანისგან. მის ხელში იყო კასპიისპირა ქალაქ ენზელის ელექტროფიკაციაც.

1914 წელს აკაკიმ დააარსა სატრანსპორტო კომპანია თეირანსა და ფეჰლევს შორის. იგი იყო პირველი, რომელმაც ავტომობილი „ფორდი“ შეიყვანა ირანში, პირველ ავტომანქანას სამკაულად ოქროს ფრთები ჰქონდა და ის აკაკიმ საჩუქრად მიართვა აჰმედ შაჰს.

1916 წელს ხოშტარიამ მიიღო კონცესიები მიწისქვეშა საკუთრების ექსპლუატაციაზე, რომელიც გულისხმობდა მინერალების, ნავთობისა და სხვა წიაღისეულის მოპოვებას ჩრდილოეთ ირანში აზერბაიჯანის ჩათვლით. გარდა ამისა, ქართველ მილიონერს თბილისში ეკუთვნოდა მექანიკური ქარხანა, სამიწათმოქმედო იარაღების ფაბრიკა, საპნის ქარხანა, მეტალურგიული ქარხანა და სხვ.;

ნ. ნიკოლაძის ინიციატივით, აკაკი ხოშტარიამ თავისი ხარჯით გაიყვანა რკინიგზა ფოთსა და აბაშას შორის; სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესაქმნელად, მან 1920 წელს, საქართველოსთვის საზღვარგარეთ შეიძინა 4 სამხედრო გემი — „პრეზიდენტი ჟორდანია“, „საქართველო“, „თამარ მეფე“, „რუსთაველი“, და კიდევ, საფრანგეთში ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის, ანდრე ლოტის სურათები შეისყიდა და საჩუქრად გადმოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს; მისი ხარჯით, უცხოეთში განათლება მიიღო უამრავმა ნიჭიერმა ქართველმა სტუდენტმა, რომელთაგან ბევრი შემდგომში მეცნიერი გახდა. ხოშტარიას ყველა საქველმოქმედო საქმის ჩამოთვლა ნამდვილად შორს წაგვიყვანდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ხოშტარია თბილისიდან ჯერ თურქეთში გადაბარგდა, შემდეგ — პარიზში, 1923 წელს კი კვლავ თეირანში დაბრუნდა. ამავე წელს მან მიიღო კონცესიები ნავთობის ექსპლუატაციისთვის სემნანში და დაარსა კომპანია „ქავირეხურიან“. ამ კომპანიის უდიდესი წილი მას ეკუთვნოდა.

აკაკი ხოშტარია შემდეგ ყველანაირად ცდილობდა, დახმარებოდა ეკონომიკურად დაუძლურებულ სამშობლოს. გასული საუკუნის 20-იანი წლების შიმშილობის დროს, კომუნისტების თხოვნით, მან დააარსა კომპანია „საბჭოთა კავშირი და ხოშტარია“. ის საკუთარი სახსრებით, პურს ირანში ყიდულობდა და ბაქოში გზავნიდა, აქედან კი „ხოშტარიას პური“ სხვა ქვეყნებში ნაწილდებოდა. საბოლოოდ, კომუნისტებმა შეპირებული თანხა არ გადაურიცხეს და საერთაშორისო მასშტაბის სკანდალის თავიდან ასაცილებლად მისი დაპატიმრება გადაწყვიტეს. აკაკიმ გაქცევა მოასწრო...

ფოთში სამსახურის დროს გაიცნო მომავალი მეუღლე — მინადორა ეგნატეს ასული თურქია, რომელიც დიდი მრეწველის, ფოთის სახელმწიფო ბანკის მმართველის ქალიშვილი იყო. მამამისს ეკუთვნოდა მთელი შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ყველა საკონდიტრო მაღაზია თუ საწარმო. მინადორამ ღირსეული მეგობრობა გაუწია აკაკის მთელი სიცოცხლის მანძილზე და დიდი როლიც ითამაშა მის ფინანსურ წარმატებებში.

აკაკის მეუღლე 1924 წელს გარდაიცვალა ინფარქტით. დაკრძალულია დულაბის მართლმადიდებლურ რუსულ სასაფლაოზე თეირანში. საინტერესოა, რომ მისი ცხედარი 1932 წლამდე (აკაკის გარდაცვალებამდე) მუმიფიცირებული იყო ეგვიპტელი სპეციალისტების მიერ.

აკაკიმ საყვარელი მეუღლის საფლავზე ააგო სამლოცველო და აკლდამა, რომელიც დღეს ქართული ხუროთმოძღვრების ერთადერთი ნიმუშია ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

1932 წელს, 59 წლის ასაკში, აკაკი ხოშტარია მოულოდნელად, პარიზის სასტუმროში გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი ღომის ქერქი გახდა, რომელმაც სადილობისას შემთხვევით სასულე გაუკაწრა. ამის შედეგად აკაკის, რომელიც დიაბეტით იყო დაავადებული, ყელის შეშუპება დაეწყო და ექიმებმა ვეღარ გადაარჩინეს. ქართველი ბიზნესმენი პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე დაკრძალეს.

აკაკის და მინადორას საკუთარი შვილი არ ჰყოლიათ. მათ იშვილეს გოგონა — მუსინკა, რომელიც პარიზში გათხოვდა მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანელზე.

ირანში, გილანის პროვინციაში, კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე საკურორტო ქალაქ ენზელში, დღესაც დგას აკაკი ხოშტარიას სასახლე უმშვენიერესი ბაღით. პირველ სართულზე სამხედრო-საზღვაო მუზეუმია, მეორეზე კი გამოფენილია აკაკის პირადი ნივთები. რაც შეეხება მის ბიზნესწილებს, ისინი ირანის ხელისუფლებამ მიისაკუთრა.

თენგიზ ჩოგანიძე

ეს უტკბილესი ნუგბარი...

ჩვენში მიჩნეულია, რომ ყველაზე სასარგებლო თაფლი ისაა, რომელსაც ფუტკრები სხვადასხვა ყვავილებიდან იღებენ. სინამვდილეში, განმაჯანსაღებელი თვისებები ყველანაირ თაფლს აქვს. მაგალითად, წიწიბურას თაფლი სისხლში ჰემოგლობინის შემცველობას ზრდის, ცაცხვისას კი ოფლმდენი თვისებები აქვს...

ხარისხიანი, ნაღდი თაფლის არჩევა ადვილი საქმე არაა, თუმცა ზოგიერთი მისი ნიშანი სასურველია ვიცოდეთ. კერძოდ, არაფალსიფიცირებული თაფლი იმდენად ტკბილია, რომ ოდნავ სიმწარეც კი დაჰკრავს, სითბოში ძალზე სურნელოვანია (გარდა ცაცხვისა, რომელსაც სუნი არა აქვს). თანაც, **კანზე წასმული თაფლი სრულად შეიწოვება და წებოვანობის არანაირ შეგრძნებას არ ტოვებს**. თავის სამკურნალო თვისებებს არც დაშაქრული თაფლი კარგავს. საერთოდ კი, დაშაქრდება თაფლი თუ არა, ეს მასში ფრუქტოზისა და გლუკოზის შემცველობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ორი-სამი წლის განმავლობაში არ შაქრდება **აკაციის** თაფლი, სამაგიეროდ, ეს პროცესი სწრაფად ვითარდება **წიწიბურას** თაფლში.

ცელსიუსის 50 გრადუსამდე გახურებული თაფლი თავის სასარგებლო თვისებათა ნახევარს კარგავს, ხოლო როცა მისი ტემპერატურა 60-70 გრადუს აღწევს, ეს მასში ყველა ფერმენტსა და მიკროელემენტს სპობს. თანაც, გახურებისას თაფლში შხამიანი ნივთიერება ოქსიმეთილფურფუროდი წარმოიქმნება, ამდენად **ცხელ ჩაიში თაფლის ჩასხმა არაფრით არ შეიძლება**.

ტანკენაროობის „წამალი“...

ძლიერი ხმაური ყველა ცოცხალ ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს, მათ შორის, ცხადია, ადამიანზეც.

თანაც, ის არა მხოლოდ გვაღიზიანებს, ან არ გვაძინებს, ყველაზე ცუდად ხმაური ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, რომელსაც თრგუნავს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს პროვოცირებს, ნივთიერებათა ცვლას არღვევს და ჰორმონალურ ფონს ცვლის.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ რაც უფრო მაღალია ხმაურის დონე, მით უფრო მეტია ე.წ. **აბდომინალური გასუქების, ანუ წელის გარშემოწერილობის ზრდის საფრთხე.** რამდენიმე ათას პაციენტზე წლების მანძილზე ჩატარებული დაკვირვების შედეგად, მკვლევარებმა მათი ფიზიკური მდგომარეობა გარემოს ანტროპოგენური ხმაურის დონეს შეადარეს და 60 დეციბელზე მეტი დაბინძურების რაიონებში მცხოვრებ ადამიანებში სახასიათო თავისებურება დაადგინეს: იქაურ მაცხოვრებლებს ეზრდებათ მუცლები, უსუქდებათ თეძოები. თანაც, ყოველ დამატებით 5 დეციბალზე წელისა და თეძოების გარშემოწერილობა, საშუალოდ, 0,2 სანტიმეტრით მატულობდა, მათ შორის, წელი უფრო მამაკაცებს უსუქდებათ, თეძოები — ქალებს. აღსანიშნავია, რომ მეცნიერებმა ამ გარემოებას ახსნა ვერ მოუძებნეს.

ცნობისთვის: სიჩუმე მთაში, ფოთოლთა შრიალი — 10-20 დეციბელის ფარგლებშია; ერთი ერთზე მშვიდი საუბრის — 40; ხმაურის დონე არცთუ ხალხმრავალ ოფისში — 60; მოძრავი ავტომანქანებით სავსე ქუჩებში — 70; მეტროში — 80; ამფრენი რეაქტიული თვითმფრინავის, როკ-კონცერტის — 120; ყურთან „ჩაბერილი“ ვუვუზელასი — 130...

თბილისი პირველ ადგილს იკავებს

ევროპის 20 ყველაზე უსაფრთხო სამოგზაურო მიმართულებაზე European Best Destinations-ის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში თბილისი პირველ ადგილს იკავებს. „კოვიდ 19“-ის თვალსაზრისით, ყველაზე უსაფრთხო მიმართულებად ევროპაში სწორედ თბილისი დასახელდა.

„თბილისი არის „კოვიდ 19“-ით ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად დაზარალებული ქვეყნის – საქართველოს დედაქალაქი. საქართველომ ძალიან სწრაფად მოახდინა რეაგირება და შესაბამისი ზომების მიღება, რამაც ეპიდემიის უკიდურესად დაბალ დონეზე შენარჩუნების საშუალება მისცა. ქვეყანაში Covid-19-ის 260-ჯერ ნაკლები შემთხვევა ფიქსირდება, ვიდრე ევროპის ყველაზე დაზარალებულ ქვეყნებში.

ქვეყანა საზღვრებს საერთაშორისო ვიზიტორებისათვის პირველ ივლისს ხსნის და შესაბამისად ნერგავს უსაფრთხოების ნორმებს, რათა დაიცვას მოგზაურების და საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობა და მისცეს მათ საშუალება, ისიამოვნონ უსაფრთხო დასვენებით საქართველოში. თბილისი განსაკუთრებით მომხიბვლელია გაზაფხულზე და ზაფხულში, როდესაც ბუნება იღვიძებს და ასევე ზამთარში ქალაქის ათასობით ფერადი საშობაო განათების და დეკორაციის ფონზე,“ – ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში. რეიტინგში ასევე მოხვდა ქალაქი ბათუმი, რომელიც მეშვიდე ადგილს იკავებს.

ტურიზმი ფრთხილად უნდა გავხსნათ

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მარიამ ქვრივიშვილის განცხადებით, ევროპის ყველაზე უსაფრთხო ტურისტულ მიმართულებებს შორის თბილისისა და ბათუმის დასახელება დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს ტურისტულ ინდუსტრიას, თუმცა აუცილებელია, დავრჩეთ ერთგულნი იმ ფრთხილი და ეტაპობრივი გეგმის, რომელიც მთავრობისა და ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ არის შემუშავებული.

„ამ რეიტინგის შემდეგ, რა თქმა უნდა, საქართველოსადმი მოთხოვნა ძალიან გაიზრდება, თუმცა ჩვენ გვაქვს გამიზნული პოლიტიკა, რომ ტურიზმის ინდუსტრია გავხსნათ ფრთხილად და ეტაპობრივად, რათა შევინარჩუნოთ ის უნიკალურობა, რომლის გამოც საქართველო უსაფრთხო მიმართულებად აღიარეს“.

ბელგიის პრინცი კორონავირუსით დაინფიცირდა

ბელგიის პრინცი კორონავირუსით მას შემდეგ დაინფიცირდა, რაც კარანტინის დროს ესპანეთში წვეულებას დაესწრო. ამის შესახებ ინფორმაციას ქვეყნის სამეფო სასახლე ავრცელებს.

28 წლის პრინცი 26 მაისს ბელგიიდან ესპანეთის მიმართულებით სტაჟირებისთვის გაემგზავრა, 2 დღის შემდეგ ხოაკიმი კორდობაში წვეულებაზე მივიდა და სწორედ იქ დაინფიცირდა. ესპანური მედიის ცნობით, ბელგიის მეფის ძმისშვილი, ხოაკიმი წვეულებაზე 27 ადამიანს შორის იყო, ახლა ყველა მათგანი კარანტინში იმყოფება.

ნინოობა

მოციქულთა სწორი ქალწული ნინო

1 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მოციქულთა სწორის, ქრისტიანობის მქადაგებლის ნინოს ხსენებას.

ნინო წარმოშობით კაპადოკიელი იყო. იერუსალიმიდან ნინო იმპერატორ კონსტანტინე I-ის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენესა და სეფე ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. შემდეგ ნინო საქართველოში წამოსულა. მცხეთაში, თავის სადგომში, სალოცავად აღუმართავს ვაზის ტოტისგან („ნასხლევისგან“) გაკეთებული ჯვარი.

„მსოფლიოში არც ერთ სალოცავს არ უმოგზაურია იმდენი, – წერდა კირიონ საძაგლიშვილი, – **რამდენიც მოციქულსწორის – ნინოს ჯვარმა იმოგზაურა სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ხალხიდან ხალხში. გადასავლების შემდეგ ღვთის განგებამ იმპერატორ ალექსანდრე პირველის ხელით დაუბრუნა ქართულ ეკლესიას მისი საუკუნო საუნჯე... ევერიაში ამ ჯვრის დაბრუნება მოასწავებდა ახალი ერის დადგომას მრავალტანჯული ხალხის ცხოვრებაში.**

„ჯვარო ღირსო და პატიოსანო, – მიმართავს წმინდა ჯვარს წმინდა კირიონი, **წმინდა ნინოს ნიშანო დაემკვიდრე გონებასა ჩვენსა და გულსა ჩვენსა, განწმინდე და განაცხოველე სული და სამშვინველი ჩვენი, უწინამძღვრე ზრახვათა და საქმეთა ჩვენთა. ძალო უძლეველო და შეუცნობელო პატიოსანი და ცხოველისმყოფელი ჯვარისავ, ნუ დაგვიტევებ ცოდვილთა!“**

გიული ლიპარტია

ლუვრი 6 ივლისიდან გაიხსნება

მუზეუმში ვიზიტორების უსაფრთხოებას უზრუნველყოფა ახალი სისტემით მოხდება. დაიცავენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ზომებს და ვიზიტორები ბილეთს წინასწარ დაჯავშნიან. საფრანგეთის მთავრობის დადგენილებით, შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის ფარგლებში, ქვეყანაში მუზეუმები და ძეგლები 2 ივნისიდან გაიხსნება.

ჟურნალისტებს რობოტებით ჩაანაცვლებენ



კომპანია Microsoft-მა ბრიტანეთში სააგენტო PA Mediz-ს 27 ჟურნალისტს კონტრაქტი არ გაუგრძელა, რომლებიც პორტალ MSN-ზე ახალ ამბებს აქვეყნებდნენ.

ჟურნალისტებს რობოტიზირებული ალგორითმები ჩაანაცვლებენ, რომლებიც დამოუკიდებლად აირჩევენ ახალ ამბებს და მათ რედაქტირებას შეძლებენ. MSN-ს ორიგინალური კონტენტი არა აქვს, მათი ახალი ამბები სხვადასხვა გამოცემის ტექსტებისგან შედგება, რომლებსაც პორტალის ფორმატის მიხედვით რედაქტირებენ. სავარაუდოდ, მალე ანალოგიურ გადაწყვეტილებას Microsoft-ი სხვა ქვეყნებში მომუშავე სააგენტოების მიმართაც მიიღებს. კორპორაციაში აზუსტებენ, რომ ჟურნალისტების გათავისუფლება კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებს არ უკავშირდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1761; ევრო - 3.5366;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9161;
100 რუბლი - 4.5026; თურქული ლირა - 0.4687;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8634;
1000 სომხური დრამი - 6.5659.

ამინდი 1 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge